



მეუკლესანი

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის პერიოდული გამომცემა.
ქურონალი გამომდის 2010 წლის 5 ივნისიდან, სამ თვეში ერთხელ.

20 სექტემბერი 2012. №3(9)



„მიყვარან მაყვალნი ეგე ჴენნი
და მუნ მნებაჲს გონებოთა“

წმიდა მუჴე მირიანო

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით

„როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ქართული იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ ჟამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ უკანასკნელ ჟამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის ჟამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქართულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც იწება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი...“


უწმიდესი და უნეტარესი
ილია II

ISSN 1987-5207

ISBN 9771987520003

უპაკ (UDC) 27 + 271.2

მ – 407

	სსამგვრდ შპრენალ-გაგვითჰაის სარმენეზიო სამსახური ძირითადი რეგისტრაციის №.....	მიმდინარე რეგისტრაციის №..... 08.09.12. თარიღი
	დასახელება: <i>ქუჩისა და მუყაოვანი</i> რეცენზენტი: <i>მ.ჩიბრაძისი ვახუ კაცნიტი</i>	

შინაარსი

უწმიდესი და უნეტარესი ილია II „არ უნდა გვეშინოდეს განსაცდელისა“.....5	იღუმენი გიორგი (კაფსანი) ბერ-მონოზონთა როლი ბოლო უამს.....36
„უფალი ისმენს მამა გაბრიელის ღოცვას“.....7	ღირსი თეოდოსი (პენორელი) ანდერძი.....38
ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე) „ჩვენ კვართის მცველი ქვეყანა ვართ“.....8	იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი) ჩაუქრობელი ღოცვის ღამპარი.....40
ეპისკოპოსის აღთქმა (წესი, რომელ იქმნების ხელთდასხმასა ზედა ეპისკოპოსისა).....12	არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) საკვირაო ქადაგება.....45
ღირსი იუსტინე (პოპოვიჩი) ეკლესიის დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ.....18	დეკანოზი დავითი (ღამბაშიძე) რა მნიშვნელობა აქვს სანთლის ხმარებას.....47
წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე) ღოცვისათვის.....21	იაკობ გოგებაშვილი ბურჯი ეროვნებისა.....49
მონოზონის აღთქმა (კუროსხევა მცირისა სქემისა)..29	შესხმა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა.....53
პანაიოტის ბუმისი ბერ-მონოზონები.....31	

რედაქტორი:

მარიამ (მარინე) ნიაური

სარედაქციო კოლეგია:

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი),
მონოზონი სოსანა (კუპრეიშვილი).

პასუხისმგებელი მდივანი:
მონოზონი ბარბარე (იაკობაძე).

მისამართი: მცხეთის სამთავროს
წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.

მირიან მეფის ქუჩა N 3

ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07

ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com

ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700



სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის „ივერიის კარის
ღვთისმშობლის“ სასწაულმოქმედი ხატი.

„ივირონი“. 1912 წელი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,

UWMIDESI DA UNETARESI ILIA II

~ AR UNDA GVESINODES GANSACDELISA~



სახელითა მამისათა და ძისათა და
წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

... ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის
ლოცვა და მფარველობა არ მოგაკლოთ
თქვენ და სრულიად საქართველოს, მთელ
მსოფლიოს. ქართველი ადამიანი, რაღაც
არაჩვეულებრივი ადამიანია და დაჯილ-
დობებულია ღვთისაგან მრავალი სათნოე-
ბით, მრავალი სიკეთით. რა დამსახურება

გვაქვს ჩვენ ამისთანა? ავიღოთ თუნდაც
ის, რომ საქართველო გახდა წილხვე-
დრი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა.
ვართ თუ არა ჩვენ ღირსნი ამისი? – რა
თქმა უნდა არა ვართ; მაგრამ ყოვლად-
წმიდა ღვთისმშობელმა დედამ, ნებითა
ღვთისათა, აირჩია ქართველი ერი, რომ
საქართველო ყოფილიყო მისი მფარველ-
ობის ქვეშ. ჩვენს ისტორიაში მრავალი

საკითხი, მრავალი შემთხვევა ყოფილა, როცა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა დედამ გადაარჩინა ჩვენი ერი მოსპობისაგან, განადგურებისაგან. მრავალი ერი და ქვეყანა ყოფილა ჩვენზე ძლიერი, მაგრამ დღეს არა სჩანს მათი კვალიც – დრომ ადგავა პირისაგან მიწისა; ხოლო როცა

შობელი დედა ეხმარებოდა ქართველ ხალხს და გადაარჩინდა განადგურებისაგან.

დღესაც მრავალი სირთულეა მსოფლიოს წინაშე, სხვადასხვა ქვეყანათა და საქართველოს წინაშე. მე მინდა გითხრათ, რომ არ უნდა შეშინდეთ, არ უნდა გვეშინოდეს აი, ამ განსაცდელისა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დედა არ დაუშვებს, რომ საქართველო განადგურდეს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დედა გადააფარებს თავის კალთას საქართველოს. შემთხვევით არ არის, რომ მრავალი ლოცვა დაწერილა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიმართ: „დედაო ღვთისაგ, შენი ხვედრია ეს საქართველო დიდჭირნახული“... და ასეთი მრავალია.



უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა საქართველოსათვის

ადამიანს ან ერს ეძლევა დიდი მადლი, ჩვენ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ეს უნდა დავაფასოთ; რომ ადამიანი მუდამ კი არ უნდა სთხოვდეს უფალს და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს და წმიდანებს, არამედ – უნდა მადლობდეს კიდევ, მადლობას უნდა სწირავდეს იმ დიდი წყალობისათვის, რომელსაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გვიგზავნის ჩვენ. მრავალი შემთხვევა ყოფილა, როცა ჩვენი ერი უფსკრულთან მისულა, უფსკრულის პირას დამდგარა და არა მარტო მისულა, ჩაუხედიო კიდევ, შიგ უფსკრულში; მაგრამ, აი, ამ დროს, როცა ძალიან უჭირდა, ყოვლადწმიდა ღვთისმ-

ჩვენ შევთხოვთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომ მეოხი იყოს წინაშე ღვთისა; მაგრამ, აი, ესლა მოგვიახლოვდა არჩევნები და მე მინდა ვთხოვო ყველას, მთელ საქართველოს, რომ გავაძლიეროთ ლოცვები; მოძღვრებს მინდა ვთხოვო, რაც შეიძლება ყოველდღე შეასრულონ წირვა-ლოცვა ტაძრებში; ერის ადამიანებმა იკითხონ სახარება და წმიდა დავითის ფსალმუნები და ღვთისმშობელი დედა არ დაუშვებს იმას, რომ ცუდი რამე ერგოს საქართველოს. დალოცვილი და გახარებული იყავით, ღმერთი იყოს თქვენი და საქართველოს მფარველი. სიხარული, მშვიდობა, სიყვარული სუფევდეს თქვენთან და მთელ საქართველოში. ამინ.

ჩვენთან არს ღმერთი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,

UWMIDESI DA UNETARESI ILIA II

UFALI ISMENS MAMA GABRIELIS LOCVAS~


სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 10 აგვისტოს პანაშვიდი გადაუხადა **არქიმანდრიტ გაბრიელს**, ქართული საბერ-მონოზენო სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, რომელსაც ერი სიყვარულით უხმობს – ბერი გაბრიელი.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

მოგეხსენებათ, რომ არსებობს სულთა კავშირი – კავშირი ზეცასა და ქვეყანას შორის და ეს კავშირი ხშირად მოგვიწოდებს სულიერი მოღვაწეობისაკენ, რაღაც საქმისაკენ. მე მახსენდება აწ გარდაცვლილი ალექსანდრიის პატრიარქის, ნიკოლოზის, ჩამოსვლა საქართველოში. ჩვენ ერთად ვიყავით დარიალის ხეობაში, საზღვარზე და მე ვუთხარი მას: „დამილოცე საქართველოს საზღვრები მეთქი“. მან დალოცა საზღვრები და თქვა: „საქართველოს იმდენი წმიდანი იცავს, იმდენი თავდადებული მოღვაწე და მოწამე, რომ ვერავითარი მტერი ვერ დაარღვევს საქართველოს საზღვრებსო“.

დღეს, როცა ბევრი პრობლემა და სიმძიმე დააწვა საქართველოს და ჩვენ გვი-

ჭირს აფხაზეთში და ცხინვალში შესვლა, შევთხოვთ ჩვენს წინაპრებს: მეფეებს, პატრიარქებს, დედოფლებს, თავდადებულ ადამიანებს, მათ სულებს რომ დაგვეხმარონ და დაიცვან სამშობლო. როგორადაც ჩვენია სამშობლო, ისე იმათია. და დღეს სულმა მომთხოვა, რომ ჩამოვსულიყავი ამ წმიდა მონასტერში და პანაშვიდი შემესრულებინა მამა გაბრიელის საფლავზე. მამა გაბრიელს მე კარგად



ვიცნობდი ჩემი სტუდენტობიდან. ის იყო განსაკუთრებული **ბერი გაბრიელი** მოღვაწე და ბევრს არც ესმოდა მისი. ზოგიერთ შემთხვევაში სალოსიც იყო, და ამასთან ერთად – დიდი სულიერი მოღვაწეც. და უფალი ისმენდა და ისმენს მის ლოცვას... ვილოცოთ მისთვის, ჩვენი წინაპრებისთვის და მთელი საქართველოსთვის.

ჩვენთან არს ღმერთი.



უწმიდესი და უნეტარესი ილია II პანაშვიდს აღასრულებს მამა გაბრიელის საფლავზე

EPISKOPOSI SPIRIDONI (ABULAZE)

~ CVEN KVARTIS MCVELI QVEYANA VART ~

... საქართველო ნამდვილად განსაკუთრებული ქვეყანაა; ყოველ ხალხს, ყოველ ადამიანს და მითუმეტეს, ყოველ ერს, როგორც მისი უწმიდესობა ბრძანებს, ღვთისაგან განსაკუთრებული მისია, განსაკუთრებული მოვალეობა აკისრია. ღვთივრჩეული იყო ძველი ისრაელი, ვინემ მაცხოვრის განკაცებამდე. როცა მთელი მაშინდელი მსოფლიო კერპთაყვანისმცემლობას მოეცვა და საშინელ ცოდვებში

წმიდა ილიამ, ზეცაში ეტლით ამაღლებისას, თავისი სამღვდლო მოსახამი – ხალენი, რომლითაც მრავალ სასწაულს აღასრულებდა, გადმოუგდო და დაუტოვა წინასწარმეტყველ ელისეს. ეს ხალენი სიმბოლო იყო წმიდა ილიასი ანუ სიწმიდისა და საღვთო სჯულისადმი წარმოუდგენლად დიდი, სიკვდილამდე თავდადებისა. როდესაც მეფე ნაბუქოდონოსორმა დაარბია ისრაელი, ეს წმიდა ხალენი ებრაელებმა საქართველოში წამოიღეს და მცხეთაში, სამეფო ბაღში დაკრძალეს, ქრსტიწმობამდე დაახლოებით ხუთი საუკუნით ადრე. დამარხეს იქ, სადაც დღეს აღმართულია სვეტიცხოველი და დღემდე აქ განისვენებს წმიდა ილია თეზბიტელის ხალენი.



ამირან გოგლიძე
ილია წინასწარმეტყველის ზეცად აღყვანება

იყო ჩაფლული, ღმერთმა მაშინ აბრაამის, ისააკის და იაკობის შთამომავლობას, ისრაელს, დაავალა ჭეშმარიტების ქადაგება...

ასევე სრულიად განსაკუთრებული მისია აქვს ქართველ ხალხს. რაში მდგომარეობს ეს მისია? მოგეხსენებათ, რომ მაცხოვრის ჯვარცმამდე და ამაღლებამდე, დაახლოებით ცხრა საუკუნით ადრე, მოღვაწეობდა უდიდესი წინასწარმეტყველი, წმიდა ილია თეზბიტელი, რომლის სახელსაც ჩვენი პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ატარებს. წმიდა ილია თეზბიტელმა წარმოუდგენელი ღვთის ერთგულება და თავდადება გამოიჩინა და ღმერთმა მისით უდიდესი სასწაულები აღასრულა.


წმიდა ილია თეზბიტელი, რომელიც დაკრძალულია მცხეთაში, სამეფო ბაღში, დაახლოებით ხუთი საუკუნით ადრე. დამარხეს იქ, სადაც დღეს აღმართულია სვეტიცხოველი და დღემდე აქ განისვენებს წმიდა ილია თეზბიტელის ხალენი.

რა თქმა უნდა, შემთხვევით არაფერი არ ხდება. უფალმა, წმიდა ილია თეზბიტელის ლოცვით, ხალენი გვიბოძა – ეს არის ანდერძი; ეს არის დავალება, რომ ქართველი ერი უნდა ყოფილიყო საღვთო სიწმიდის, საღვთო სჯულის უკომპრომისო დამცველი;

ისეთივე საოცარი დამცველი, როგორც იყო წმიდა ილია თეზბიტელი. დიდი შრომა და ძალა სჭირდება სიწმიდის დაცვას და ცნობილია, ქართველმა ხალხმა რა დიდი სისხლი გაიღო მართლმადიდებელი რწმენის დასაცავად: თბილისში – მარტო ერთ დღეს ასი ათასზე მეტი კაცი შეეწირა სარწმუნოების დაცვას; აჭარაში – ასიათასობით წმიდა მოწამე აღესრულა ქრისტიანობისათვის; მთელი ჩვენი ისტორია სარწმუნოების დაცვისთვის სისხლისღვრის ისტორიაა და ამას ხომ უდიდესი ძალა სჭირდება?! – და ეს ძალა ჯერ კიდევ წმიდა ილია თეზბიტელის ხალენის საქართველოში ჩამოტანით მოგვეცა ჩვენ, ქართველებს. თქვენ უწყით, თუ რა უდიდესი ძალის და მადლის მომტანნი არიან

სიწმიდეები. ამიტომ, წმიდა ილიას (ელისა) ხალხის საქართველოში ჩამობრძანებით, უფალმა არა მარტო დავალემა მოგვცა, რომ საღვთო სჯულის, ეკლესიის სიწმიდის, სისხლის დათხევამდე დამცველები უნდა

კვართი, ჩამობრძანეს და დაფლეს მცხეთაში, მეფის ბაღში – სწორედ იქ, სადაც წინასწარმეტყველ ილიას ხალხი იყო დაკრძალული.



„განიყუეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა ჩემსა განიგდეს წილი...“
გელათის ოთხთავი. მინიატურა (XIII ს.)

ვიყოთ; არამედ – უფალმა, წმიდა ილიას ხალხის საქართველოში დაფლვით, ძალაც მოგვცა ამ სიწმიდეების დასაცავად. როდესაც უფალი ჯვარს აცვეს და დავით წინასწარმეტყველის სიტყვისამებრ: „გაიყუეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა ჩემსა განიგდეს წილი“; როდესაც მაცხოვარს გახადეს სამოსელი, გაძარცვეს და ყველაფერი გაინაწილეს – კვართი ვერ გაიყუეს, ვერ გახიეს, რადგან წმიდა წერილისამებრ, უფლის წმიდა კვართს ზეციდან ჰქონდა მოცემული ძალა ანუ იგი იყო „ზეითგამოქსოვილი“ წმიდა კვართს ზეციდან მიცემული ძალა ჰქონდა, რათა მას ადამიანის ხელი ვერ შეხებოდა დასანაწილებლად. და მაშინ თქვეს: ნუ დაფხევთ, არამედ წილი ვიგდოთ მასზეო. ეს სიტყვები ღვთისაგან იყო; ღვთის ძალა იცავდა კვართს და ადამიანებმა თქვეს: წილი ვიგდოთ ამას ზედაო. წილისყრით, საუფლო კვართი ერთ-ერთ ჯვარმცემელს ერგო, რომლისგანაც იქ მყოფმა ორმა ქართველმა ებრაელმა: ელიოზ მცხეთელმა და ლონგინოზ კარსნელმა შეიძინეს წმიდა

რას ნიშნავს საქართველოში კვართის ჩამობრძანება და რისი სიმბოლოა წმიდა კვართი უფლისა?... წმიდა მამათა განმარტებით, კვართი არის განუყოფელი ეკლესიის სიმბოლო, რომლისათვის ბრძანებს უფალი: „ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“. – მაშასადამე, უძღველოების ფუნქცია დედამიწაზე მინიჭებული აქვს ერთადერთს – ქრისტეს ეკლესიას, რომელიც წმიდა პავლე მოციქულის სიტყვით, არის სვეტი და სიმტიციე ჭეშმარიტებისა. ანუ ეს არის მსოფლიო (საყოველთაო) ეკლესია, რომელიც ემყარება კლდეს, ქრისტეს და მის აღმსარებლობას, რომელსაც ჯოჯოხეთის ბჭეც ვერ მოერევა. როგორც წმიდა კვართი ვერ გახიეს უფლის ჯვარმცემლებმა, ასევე ვერ შეძლებენ, რომ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია გაგლიჯონ და გაანადგურონ, ჯოჯოხეთის ყველაზე საშინელმა ძალებმა. სამწუხაროდ, ბოროტმა ძალამ მოახერხა სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიების შემუხრვა: ასეთია – მონოფიზიტური ეკლესია, ასეთია – პაპისტური ეკლესია, ასეთია – პროტესტანტული ეკლესია.

ისმის კითხვა, რა ადგილი აქვს საქართველოს სამოციქულო ეკლესიას მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიაში და როგორია მისი ხვედრი? ამის პასუხს უდიდესი წმიდა მამა, კვიპრიანე კართაგენელი იძლევა, რომელიც ამბობს: კვართის საიდუმლოთი, უფალმა განუყოფელ ეკლესიაზე მიუთითა და ქვეყანა, სადაც კვართია დაფლული, ის ეკლესია, ყოველთვის ერთიანი და განუყოფელი იქნება და უფალს წმიდად შეხვდება. ეს უდიდესი პატივია ქართველი ხალხისა და მისთვის მიცემული აღთქმის ნიშანია, მარადიული ცხოვრებისა; მაგრამ,

ამავე დროს, ეს არის უდიდესი მისიაც, ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობის, განუყოფლობის დაცვისა. ჩვენ კვართის მცველი ქვეყანა ვართ და ამიტომ იყო, რომ ქართველი ხალხი განსაკუთრებით უფრთხილდებოდა საქართველოს ეკლესიის მთლიანობას და ერთიანობას და მას ამისათვის ძალაც მიეცა. საუკუნეების განმავლობაში აღასრულებდა ქართველი ერი ეკლესიის ერთიანობის დაცვის მისიას და ამაყობდა ღვთივდადგენილი ამ მისიით. მოგეხსენებათ, გიორგი მთაწმიდელის პასუხი ანტიოქიის პატრიარქისადმი. როდესაც საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარება სურდათ, მაშინ გიორგი მთაწმიდელმა ამაყად განუცხადა ანტიოქიის პატრიარქს: ქართველებმა, წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქადაგებით, რაკი ერთგვის შეიცნეს მართლმადიდებელი სარწმუნოება, მას შემდეგ არც მარჯვნივ გადაგვიხვევია და არც მარცხენივ და როცა თქვენში მწვალებლობები ისე მომრავლდა, რომ მაკურთხეველი მართლმადიდებელი მეთაურიც აღარ ჰყავდა თქვენს ეკლესიასო, მაშინ თქვენი ეპისკოპოსი ჩვენთან ეკურთხაო.

დღეს, როდესაც მსოფლიო გარკვეულ მშობიარობას განიცდის, პავლე მოციქულის თქმით: „უამი ახლო არს“. ერთხელ, როდესაც წმიდა იოანე ოქროპირს ჰკითხეს: – როდის იქნება მეორედ მოსვლაო? მან ძალიან მოკლედ უპასუხა: – მეორედ მოსვლა იქნება მაშინ, როცა კაცი ქალი გახდება და ქალი კიდევ კაციო. დღეს, როცა ვხედავთ, რომ ჩვენს თვალწინ ეს წინასწარმეტყველება სრულდება; როცა სურთ, რომ მთელი მსოფლიო სოდომ-გომორის ცოდვებში ჩაითრიონ; როცა, მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს და პიროვნული და მართლმადიდებლური ღირებულებების ნიველირება ხდება და როცა პიროვნების განქარვების საშინელ მცდელობას ეწევიან – განსაკუთრებით საჭიროა, ჩვენი ხალხი მიხვდეს თუ სად არის შველა და გადარჩენა. სამწუხაროდ დღეს ყველას არა აქვს სულიერი აზროვნება, სულიერი განსჯა – როგორც ამას წმიდა მამები ამბობენ.

დღეს ჩვენ საკუთარ ძალაზე, საკუთარ

გამოცდილებაზე და საკუთარ უნარებზე ძალიან ვართ მინდობილები – ვფიქრობთ, რომ საქართველოს შველას შევძლებთ, გაჭირვებიდან გამოვიყვანთ და მის ტერიტორიულ მთლიანობას და ეროვნულ დამოუკიდებლობას დავიცავთ; ჩვენ სხვადასხვა ქვეყნის იმედი გვაქვს; მაგრამ თუ გონების თვალს მოვაველებთ ჩვენს საზღვრებს, კითხვა გაგვიჩნდება: არიან კი ისინი ჩვენი გულწრფელი მეგობრები? იცით, რომ სულ ახლახან, აღმოსავლეთით, დავითგარეჯის ტერიტორიაზე საშინელი პრეტენზიები განაცხადეს მეზობლებმა, და შესაბამის ქვეყნებს არა მარტო პრეტენზიები აქვთ, არამედ რუკებს უშვებენ და საქართველოს საზღვარი მცხეთამდე მოჰყავთ; ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით იქამდეც მივიდნენ, რომ საერთოდ შლიან საქართველოს კავკასიის და მსოფლიო რუკიდან; ჩრდილოეთით – მთლად მორღვეულია ჩვენი საზღვრები და თვლა არა აქვს მიტაცებულ ოლქებს: სამაჩაბლო, სოჩი, აფხაზეთი; ხოლო ცოტა ქვემოთ კი, გემახ-სოვრებათ, ქართველთა სისხლი ისმებოდა; სამხრეთით – მესამედი ტერიტორიებისა მიტაცებულია, შთანთქმულია ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და დღეს იქამდე მივიდნენ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში, მეზობელი ქვეყანა, ბათუმს თავის ქალაქად აცხადებს. აი, ასეთ გარემოცვაშია დღეს ქართველი ხალხი.

რა ხდება დასავლეთში? – სიტყვით ამბობენ, რომ ერთიან საქართველოს უჭერენ მხარს, მაგრამ ყველანაირად ცდილობენ, რომ ეროვნული და ზნეობრივი ღირებულებანი დასცენ და განაქარვონ. სულ ახლახან, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, სოდომიტა აღლუმი მოაწვეეს; და ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი იყო უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა ოფიციალური გამოსვლები, რომლებიც ამ უზნეო მსვლელობის ხელშეუხებლობას იცავდნენ და პროპაგანდას უწევდნენ სოდომიტა საზეიმო მსვლელობას თბილისში – ასი ათასი მოწამის ქალაქში, დავით აღმაშენებლის, თამარის, დემეტრე თავდადებულის ქალაქში; და ამ უზნეობის საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა, თურმე, დემოკრატიის პრინციპების დარღვევა ყო-

ფილა. აი, ეს არის მთელი უბედურება: ზოგს ჩვენი ტერიტორიების დაპყრობა და საქართველო – უქართველებოდ უნდა, ზოგს კი უარესი – ჩვენი სულის დაპყრობა, ქართველთა გახრწნა და გადაგვარება სურს. სად არის ჩვენი საშველი?! ვის მივუდეთ?!



წინასწარმეტყველნი – ენუქი და ილია.

სამწუხაროდ, საქართველო დღეს ხსნას თავის მტრებში ეძებს, რომლებიც მისი ტერიტორიების დაპყრობას და ზნეობრივ გადაგვარებას ესწრაფვიან;...

მაგრამ ჩვენ გვყავს მფარველი, რომლის წინაშეც უძღურია აღმოსავლელი თუ დასავლელი, ჩრდილოელი თუ სამხრეთელი მეზობელი. ჩვენი მფარველია უფალი და დედაღვთისმშობელი. და როგორც დასაწყისში აღვნიშნე, საქართველო ღვთივ-პატივდებული ქვეყანაა. არავის, არც ერთ ქვეყანას, არ რგებია პატივი წმიდა ილია თეზბიტელის ხალენის, ქრისტეს კვართის ფლობისა და არც – ღვთისმშობლის წილხვედომილობისა...

საქართველო დედაღვთისმშობლის იმედად უნდა იყოს მარად, იმიტომ, რომ იგია უღალატო მფარველი და მცველი. მინდა გავიხსენო ცნობილი ფაქტი წმიდა ილარიონ ქართველის ცხოვრებიდან; როდესაც საბერძნეთის ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარმა ტაძრის დატოვება უბრძანა მას და მის სულიერ ძმებს: „– არ ვიცი ვინ არიან ქართველები და დატოვონ აქაურობაო“. იმ დამით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა ბერძენ წინამძღვარს და მკაცრად ამხილა: „უგუნურო ბერო, რომ ამბობ ვინ არიან ივერიელები, შენ არ იცი, რომ ივერია ჩემი წილხვედრი ქვეყანააო?! განა არ იცი, რომ ივერიელების მტრები ჩემი მტრები არიანო?! „– აი, ვინ იყო ჩვენი მფარველი და ვისი შეწვევით მოვალწიეთ დღემდე!“

ჩვენი, საქართველოს, არსებობა ღვთისმშობლის მოწყალება და სასწაულია; ამიტომ, ჩვენ უნდა მივიდეთ დედაღვთისმშობელთან. უწმიდესს უყვარს და ხშირად ახსენებს ოცდამერვე ფსალმუნის სტროფებს: „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“. პატრიარქის განმარტებით, ღმერთი ძალას და მშვიდობას თავის ერს აძლევს. ამიტომ ჩვენ თუ მშვიდობა და ძალმოსილება გვსურს, აუცილებლად ღვთის ერი უნდა ვიყოთ და მაშინ მივიღებთ ძალას და მშვიდობას. სამწუხაროდ, ძალა და მშვიდობა გვსურს, ხოლო ღვთის ერად ყოფნა არ გვინდა. და რა არის ღვთის ერად ყოფნა? – ამის პასუხს სრულად და კარგად გვაძლევს ძველი და ახალი აღთქმა.

შევთხოვ წმიდა იოანე ნათლისმცემელს და დედაღვთისმშობელს, რათა ჩვენი ერი ჭეშმარიტად ეკლესიური და თავისი მწყემსმთავრის მორჩილი გახდეს, რომელსაც ქართველი ერი სულიერი ეგვიპტიდან გამოჰყავს და შეიყვანს მას ღვთის სასუფეველში.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.



სვეტიცხოვლობა, კვართობა, არა მარტო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის, არამედ – საყოველთაო (მსოფლიო), განუყოფელი, ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ზეიმის დღეა. კვართობა – მაცხოვრის ჯვარცმის ხსენების დღეა; კვართობა – საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელობის, ერთი მრწამსის, ერთი კათოლიკოს-პატრიარქის ფიცით შეკრული მღვდელმთავრების აღთქმის ხსენების დღეა, რომელსაც მკითხველს ვაცნობთ:

~ WESI, ROMEL IQMNEBIS XEL TDASXMASA ZEDA EPISKOPOSISA~

(ამონარიდი)

„უწყებად ჯერარს ყოველთა, ვითარმედ ნუ ვინ სადმე იკადრებნ გარდასვლად და დარღუევად კანონთა მათ საქართველოსა ეკლესიისათა, ნეტართა მამათმთავართა და მღვდელმთავართაგან დადებულთა, რომელ არს – „თვინიერ მცხეთისა დიდისა სამოციქულომსა ეკლესიისა, ყოვლითურთ დაყენებულ არს ხელისდასხმად მღვდელმთავრობითი სსუასა ეკლესიასა შინა. ხოლო თუ სადმე იკადროს ვინ გარდასვლად კანონისა ამის ჩუენისა, ხელისდამსხმელიცა იგი კრებად და ხელდასხმულიცა იგი განკუეთილ არნ“.

.

... ჰყოფს კითხვასა კათოლიკოსი გამორჩეულისა მის მიმართ ესრეთ:
 რომლისა მიზეზისათვის მოხუედ წინაშე ჩუენსა?
 გამორჩეული მიუგებს:
 მღვდელმთავრობითისა მადლისა მოღებად, უწმიდესო მამაო.
 კათოლიკოსი ჰკითხავს:
 და ვითარ გრწამს?
 ხოლო ახლად გამორჩეულსა მას უპყრიეს ხელთა შინა წერილი მართლმადიდებლობითისა სარწმუნოებისა, რომელსა შინა წერილსა წარკითხვით აღიარებს და იტყვის:

მრწამს ერთი ღმერთი, მამად, ყოველისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა; ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა. რომელი ჩვენთვის კაცთათვის, და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოსდა ზეცით და ხორცილი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისგან ქალწულისა და განკაცნა. და ჯუარს ეცუა ჩუენტვის პონტოელისა პილატეს ზე და ივნო და დაეფლა. და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა. და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯუენით მამისა. და კუალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ. და სული წმიდა, უფალი და ცხოველსყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანისიციუმების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ. ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა. მოველი აღდგომასა მკუდრეთით, და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა. ამინ.

ამის შემდგომად შევიწყნარებ და დავიცავ კანონთა წმიდათა მოციქულთასა, და მრწამს, და აღვიარებ შვიდსა მას მსოფლიოსა კრებასა და ადგილობითა კრებათა, რომელნიცა შეკრბენ მართლმადიდებლობისა დასამტკიცებელად; ჯერვარ და აღვიარებ მათსა მას კანონსა და წესსა წმიდათა მამათასა. რომელიცა მღვდელთა და მამათა ჩუენტა დააწესეს და დაამტკიცეს უამსა და წელსა მას; რაოდენიცა მათ თქუეს და ჰრწმენა, მეცა ჯერვარ და აღვიარებ, და რაოდენიცა მათ განაგდეს, მეცა განვაგდებ. კუალად

აღვიარებ წმიდათა ეკლესიათა მშვიდობასა და შევიწყნარებ და არცა ერთსა განდგომილებისა საქმესა შემოვიდებ; ვიდრემდის ვცხოვრობ, ყოველთავე შეგივრდები და ხელდადებულ ვიქმნები თქუენ სანატრელსა და ყოველადწმიდასა მამასა ჩუენსა და მამათმთავარსა, სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქსა (სახელი); შევიწყნარებ და აღვიარებ, რომელთა შიშითა ღმრთისა და კეთილითა სწავლითა და საღმრთოთა მცნებითა გუასწავეს, ყოველისა რომლისამე სიბოროტისა არაქმნად, რაოდენიცა ძალმიც ძალითა ღმრთისა და კუალად დავიცავ რაოდენიცა წმიდათა მამათა ბრძანეს და დააწესეს, მათსა მას წესსა და რიგსა არცა გარდავალ და არცა სხუარიგად შევიწყნარებ, მათთა მცნებათა და ამათ ყოველთავე ესრეთ აღვიარებ. კუალად რაოდენიცა მცნება და სწავლა არს ჩუენ ზედა თქუენ სანატრელისა და ყოველთა თქუენტა მღვდელთმთავართა და ტახტისა თქუენისა და ძალითა თქუენითა და შეწევნითა მამათმთავრობისა თქუენისა და მასცა აღვიარებ მაღლითა ღმრთისა და, რომელსაცა შუენის ყოველი დიდება, პატივი და თაყუანისციემა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

– გამოგვიცხადე მტკიცედ სიტყუად ეგე, თუ ვითარ აღვიარებ სამგუამოვნებასა მიუწვდომელისა ღმრთეებისასა?

ხოლო გამორჩეული იგი მიუგებს და იტყვის მაღლითა ხმითა სასმენელად ყოველთა მეორესა მას წერილსა, პყრობილსა ხელთა შინა თვისთა:

– მრწამს ერთი ღმერთი, სამგუამოვნებით ცნობილი, მამასა ვიტყვი და ძესა და სულსა წმიდასა, პირებით განყოფილად თვისთვისად, ხოლო განუყოფელად არსებითა, რამეთუ სამება და ესე ერთი არს არსებითა და ბუნებითა, ხოლო პირებითა თვითოეულად სახელიდების მამა, ძე და სული წმიდა. მამად უშობელი და დაუ-

საბამოდ, რამეთუ არავინ არს უმთავრეს მისა და იგი არს ჭეშმარიტად ღმერთი დაუსაბამოდ, რამეთუ არავინ არს დასაბამ მისა, არამედ მხოლოდ თვით არს დასაბამ ყოველთა. მრწამს ჭეშმარიტად, ვითარმედ მამად არს მიზეზი ძისა და სულისა წმიდისა, რამეთუ ძისა მშობელი არს და სულისა წმიდისა გამომავლინებელი. არცა განიყოფის არსებითა და არცა შეერთდების გუამებითა, არამედ მხოლოდ პირებითა განყოფილ არიან ესრეთ: რამეთუ მამად შობს ძესა და გამოავლინებს სულსა წმიდასა, ხოლო ძე იშვების მხოლოდ მამისაგან და სული წმიდად გამოვალს მხოლოდ მამისაგან.



რამეთუ ამათსა ერთმთავრობასა აღვიარებ და მიზეზად ვიცნობ მამას ძისა და სულისა წმიდისად. ძესა ვიტყვი პირველსაუკუნეთა მამისაგან შობილად და ყოველთაგან მოუკლებელად, არა დაბადებულად, ნუ იყოფინ, ვითარცა არიან სხუანი დაბადებულნი, არიანოსთა მწვალებელთა წვალებისაებრ და თქმულთა მათთა, არამედ მე ესრეთ ვიტყვი, ვითარედ არს ძე დაუსაბამოსაგან მამისა, რათა არა ითქუას ორთავე დასაბამობად; ეგრეთვე სულისა წმიდისასა, რამეთუ ამათ ორთავე აქუს მამისაგან არსებად, ხოლო ძე შობილ არს და სული წმიდა გამომავალ, ვითარცა ზემო გვითქუამს რამეთუ მამად არა განიყოფის ძისაგან და არცა ძე სულისა წმიდისაგან, არცა სული წმიდად მამისა და ძისაგან, ვითარცა სრული არს

მამად ძისა და სულისა წმიდისა თანა, ეგრეთვე სრული არს ძე მამისა და სულისა წმიდისა თანა, ეგრეთვე სრული არს სული წმიდად მამისა და ძისა თანა, შეერთებული შეერთებითა არსებისადათა და განყოფილი განყოფითა გუამებისადათა აღვიარებ სიტყუასა ღმრთისასა, რომელი არსებით მამისა თანა პირველსაუკუნეთა მოუკლებელად მარადის მყოფ არს და გარდამოხდა ბუნებისა ჩუენისა შემოსად და დამდაბლდა, ვითარცა კაცი და ხორცნი შეისხნა უბიწოდსა და მარადის ქალწულისა სისხლთაგან, რადთა ყოველსა სოფელსა მოწყალებითა თვისითა ცხოვრებად მოანიჭოს; და იქმნა საღმრთოდსა და კაცებისა ბუნებათა შეერთებითა ერთ, ვინადათგან სიტყუად იგი გარდამოხდა საშოსა ქალწულისასა, არცა ღმრთეებად მოაკლდა ხორცთშესხმასა ქრისტესსა და არცა განხორციელებად მისი მოაკლდა ღმრთეებისაგან, არამედ იქმნა ორთავე შეერთებად ერთ. ამისთვის განვეშორები წვალებასა ნესტორისსა, არცა ვიტყვი უსულოდ და უგონებოდ, ვითარცა იტყოდა აპოლინარი, რამეთუ იგი იტყოდა კმა არსო მის შორის მხოლოდ ღმრთეებად უსულოდ და უგონებოდ. ხოლო მე ესრეთ აღვიარებ



ღმერთად სრულად, რომელიცა განხორციელდა სიტყუად ღმრთისად და მიიღო ხორცი სულიერი და სული გონიერი და სიტყვიერი, რამეთუ ღმრთეებისა და კაცებისა ბუნებისა ყოველივე მას შინა დამკვიდრებულ არს. რამეთუ არა მოკ-

ლებულ არს ღმრთეებად კაცებისა თანა შეერთებითა და არცა კაცებად ღმრთეებისა თანა, რამეთუ ერთსა გუამსა შინა ორი ბუნებად იხილვების: ღმრთეებისა და კაცებისა. ესრეთ მრწამს და ესრეთ აღვიარებ იესო ქრისტეს განხორციელებასა და ვიტყვი, ვითარმედ ქრისტემან ივნო ხორცითა და არა ღმრთეებითა, რამეთუ ქრისტესა კაცობრივისა ბუნებისა საქმე ყოველივე აქუნდა თვინიერ ცოდვისა: მოემშია, მოეწყურა, დაშურა, ცრემლოდა და მსგავსნი ამისნი; არა იძულებით ვისგანმე ჰყოფდა ამას, არამედ ნებისით მოიმშია, ნებისით მოიწყურა, ნებისით დაშურა და ნებისით მოკუდა, რამეთუ ნებისით ინება სიკუდილი ხორცითა კაცობრივითა, არამედ ღმრთეებად ეგო უვნებელად. მას რად ენება სიკუდილი, არამედ ჩუენთვის დაითმინა სიკუდილი, რათა ჩუენ გამოგვისნას უძღებისა მისაგან სიკუდილისა და თვისითა სისხლითა მიმგუარნეს ჩუენ მამასა თვისსა. კაცობრივითა ხორცითა ინება სიკუდილი და მოკუდა, ხოლო ღმრთეებისა ძალით შთახდა ჯოჯოხეთად, რადთა მას შინა დასჯილნი სულნი გამოიხსნნეს; და შემდგომად აღდგომისა დღესა ორმოცსა ქუეყანასა ზედა იქცეოდა მოციქულთა თანა, ამისა შემდგომად ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით მამისა, ხოლო მარჯუენესა ვიტყვი მამისასა არა აღვილსა რასმე: მარჯუენე ღმრთისადა არს დაუსაბამობა და პირველსაუკუნეთა დიდებულებად, რომელი აქუს ძესა ღმრთისასა მამისა თანა პირველ განკაცებისა და შემდგომად განკაცებისა იგივე აქუნდა და თაყუანისცემების წმიდითა ხორცითა თვისითა ღმრთეებისა თანა შეერთებული და პატივით თაყუანისცემული. ხოლო მეოთხე პირი არა ითქუმის წმიდისა სამებისაი, ნუ იყოფინ, რამეთუ სამებაი იგი სამებადვე ჰგიეს, ხოლო შეერთებასა ვიტყვი მხოლოდშობილისა ძისასა, რამეთუ შეერთებითა ღმრთეებისადათა კაცობრივისა ბუნებისა შეერთე-

ბად განუშორებელად ჰგიეს ღმრთეებისა თანა უკუნისამდე. კუალად მოვალს განსჯად ცხოველთა და მკუდართა, მართალთა და და ცოდვილთა; ხოლო მართალთა მისცემს მოღუაწებისა თვისისა სასყიდელსა ზეცისა სასუფეველსა, რომელნიცა კეთილითა მოღუაწებითა აღესრულნენ; ხოლო ცოდვილთა საუკუნესა სატანჯველსა და ცეცხლსა გეენისასა მოუკლებელსა, რომელისა-



საუფლო კვართზე აღმართული მირონმდინარე, ცხოველმყოფელი სვეტი (IV ს.)

გან განგუაშორნეს ჩუენ ღმერთმან და ღირსმეყნეს ჩუენ, რომელი აღგვითქუა მოცემად სასუფეველი ქრისტე იესოსი მიერ უფლისა ჩუენისა, ამინ.

– გამოგვიცხადე მტკიცედ, თუ ვითარ აღვიარებ ერთსა პირსა ძისა და სიტყვისა ღმრთისასა, ანუ რაოდენსა ბუნებასა

ადიარებ უფლისა იესო ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისასა?

ხოლო გამორჩეული იგი იტყვის მაღლითა ხმითა მესამესა ამას აღსარებასა:

– მრწამს ერთი ღმერთი, მამად, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისად, ხილულთა ყოველთა და არახილულთად, დაუსაბამოდ, უშობელი და უმიზეზოდ, ხოლო დასაბამი და მიზეზი ბუნებითა ძისა და სულისა წმიდისად. მრწამს მხოლოდშობილი ძე, მისგან პირველ საუკუნეთა შობილი და ერთარსი, რომლისა მიერ ყოველი შეიქმნა. მრწამს სული წმიდად, რომელი მამისაგან გამოვალს და იდიდების, თანასწორი და ერთარსი და თანამოსაყდრე, ერთპატივი, ერთდიდებად და ყოველთა დაბადებულთა დამბადებელი. მრწამს ერთი სამებისაგანი უზესთაესი ყოველთა დაბადებულთა მხოლოდშობილი სიტყუად, რომელი გარდამოხდა ზეცით ჩუენ კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის, ხორციანი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისგან ქალწულისა და განკაცნა, ესე იგი არს, ვითარმედ სრული ღმერთი და სრული კაცი იშვა და არა იცვალა ღმრთეებისა არსებად შეერთებითა ხორცისადათა, არამედ განუყოფელად შეერთდა ხორცთა, ხოლო ხორცითა მით ჯუარცუმად დაითმინა, რამეთუ ყოველთა ვნებათაგან განთავისუფლებულ არს ღმრთეებისა ბუნებად. აღდგა მესამესა დღესა მკუდრეთით, ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით ღმრთისა და მამისა. მრწამს ღმრთისა მიერ მონიჭებული ერთი წმიდად, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიად. აღვიარებ ერთსა მას ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა. მოველი აღდგომასა მკუდართასა და ცხოვრებასა მერმისა საუკუნისასა, ამინ. კუალად მრწამს და აღვიარებ შემოდგომად განხორციელებისა ქრისტესსა ორსა ნებასა: ღმრთეებისა და კაცებისასა. თაყუანისვსცემ სარწმუნოებით ხატსა ქრისტესსა

და ყოვლადუბიწოდა ღმრთისა დედისასა და ყოველთა წმიდათასა, რამეთუ ხილულისა მის ხატისა პატივი აღიწვეის პირმშოდსა მის ხატისადმი ზეცათა შინა წინაშე მისსა. ხოლო რომელნიმე სხუანი უცხოდ და სხუად რადმე იტყვიან, გარნა მე სიტყუათა მათთა განვაგდებ და შევაჩუენებ. დედოფალსა ქალწულსა ღმრთისმშობლად აღვიარებ და ვიტყვი: რომელმან ერთი სამებისაგანი ხორცითა გვიშევ ქრისტე, ღმერთი ჩუენი, შეწვენითა სულისა წმიდისადათა მექმენ მე შემწედ, მცველად და მფარველად ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, ამინ.

კუალად აღვიარებ შვიდსა მას საიდუმლოსა, რომელითაცა ცხოვრებენ ქრისტიანენი; პირველად ნათლისღებასა, რომელი არს კარი და დასაბამი ყოვლისა საიდუმლოსად, იქმნების სამგზის შთასლვითა ემბახსა შინა და აღმოყვანითა და არა მსგავს ლათინთა მიერ ახლად შემოდებულთა, რომელნი იტყვიან, ვითარმედ სხურებით იქმნების ნათლისღებად. კუალად მრწამს წმიდად იგი მსხუერპლის შეწირვად მაშინ განსრულებულად, ოდეს იგი იტყვის მღუდელი საუფლოსა მას ხმასა: „მიიღეთ და ჭამეთ“ და „სუთ ამისაგან ყოველთა“, და შემდგომად ამისა ევედრების მამასა მეტყუელი: „შეცვალე სულითა შენითა წმიდითა“. ამით განსრულდების და იქმნების ჭეშმარიტად ხორცად და სისხლად, რამეთუ თვინიერ სულისა წმიდისა არარაი სრულ იქმნების და არა ეგრეთ, ვითარ იგი ლათინნი იტყვიან, ვითარმედ მხოლოდ საუფლოთა ხმითა, თვინიერ სულისა წმიდისა, სრულ იქმნებისო. კუალად ვიჯმნი კალვინიანთა და ლუთერიანთა წვალებისაგან, რომელნი იტყვიან, ვითარმედ ლიტურგიასა ზედა პური ლიტონივე პური იქმნებისო და ღვინო კუალად ლიტონივე ღვინო იქმნებისო, რამეთუ ესე არს დიდი წვალებად, ხოლო ვიტყვი, რამეთუ კურთხევითა მით მღუდელთადათა შეიცვალების

პური იგი ხორცად უფლისად და ღვინო შეიცვალეების სისხლად უფლისად. ამათ ჭეშმარიტთა აღსარებათა ჩემთა თანა აღვთქუამ დაცვად და მტკიცედ პერობად ეკლესიისა მშვიდობასა და გულსმოდგინედვე აღვთქუამ სწავლად ჩემდა მომართ რწმუნებულისა ერისა და არაოდეს ბრძნობად რომელისამე უკუე ჩუეულებისა, რომელიცა ეწინააღმდეგობის მართლმადიდებლობითსა აღმოსავლეთისა ეკლესიისა სარწმუნოებასა, და შეუდგებოდე ყოველთა შინა სრულიად საქართველოდსა მამათმთავარსა, ვითარცა ჭეშმარიტსა მწყემსთმთავარსა ჩემსა და მოვისხენებდე კანონთა მისთა და ყოველადსამდგველოთა მიტროპოლიტთა, არქიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა ძმათა ჩემთა ერთხმა ყოფად ყოველსავე შინა და სიყუარული უკუე სულიერი სრულებით მაქუნდეს მათ თანა, სულითა და სიყუარულით პატივ-ესცემდე მათ, ვითარცა ძმათა. კუალად აღვთქუამ არა მიდებად უცხოთა ჩუეულებათა, რომელი ეწინააღმდეგების საეკლესიოსა გარდამოცემასა და დაცვად უცვალებედ ყოველივე წესი, მოცემული მართლმადიდებლობითისა აღმოსავლეთისა ეკლესიისა; და თანავხმობდე და ერთგონიერებდე უნეტარესისა და უწმიდ-

ესისა მამათმთავრისა ჩუენისა თანა და უნეტარესთა და უწმიდესთა აღმოსავლეთისა ოთხთა მსოფლიოთა პატრიარქთა, კეთილმსახურებისა დამცველთა და განმგებელთა. კუალად შევესძინებ ამასცა აღთქუმათა ჩემთა, ვითარმედ არასადა განშორებად გონებაი ჩემი შჯულიერისაგან მიმართებისა სრულიად საქართველოდს კათოლიკე ეკლესიისა მიმართისა, ესე იგი არს წმიდისა და დიდისა სამოციქულოდსა ეკლესიისა, სუეტისა ცხოველისა; ეგრეთვე ყოველსა შინა ყოველგან და მარადის ყოველისა უმჯობესისა მეცადინობად სანათესავოისა მშობელობითისა ქუეყანისა ჩემისა. ამათ ყოველთა აღთქმულთა ჩემთა აღვთქუამ და დავამტკიცებ წინაშე ყოველთამხილველისა ღმრთისა დაცვად ყოველითა სულითა ჩემითა, ყოველითა გონებითა ჩემითა და ყოველითა ძალითა ჩემითა ვიდრე უკუანაისკნელ აღმოფშვინვამდე ჩემდა, თანაშეწევნითა და თანამოქმედებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელსა შუენის ყოველი დიდებად, პატივი და თაყუანისცემად თანადაუსაბამოით მამით მისით და ყოველადწმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



EKLESII DAMOKIDEBULEBA XELISUFLEBIS MIMART



ღირსი იუსტინე (პოპოვიჩი)

„მორჩილებაჲ ჯერ არს ღმრთისაჲ უფროჲს, ვიდრე კაცთაჲ“ – ეს სწავლება არის მართლმადიდებელი ეკლესიის სული და გული და მისი მთავარი, ყოვლისმომცველი ხარება, რითაც და რისთვისაც ცოცხლობს ეკლესია. სწორედ ამ სწავლებაშია ეკლესიის უკვდავება და სრულყოფილება, მის წმიდა დოგმატთა და კანონთა არსი. ამიტომ, ეს სწავლება მისი უმთავრესი პრინციპი, საზომთა საზომი და სიწმიდეა. ამდენად, სრულიად დაუშვებელია და არაფრის ფასად არ შეიძლება, რომ ეკლესიამ ამ საკითხში რაიმე დაუთმოს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, ბოროტ ძალას, მითუფრო – ეკლესიის აშკარა მტრებს, რომლებიც ყოველი ღონით ცდილობენ ეკლესიის განადგურებას.

ღვთის მორჩილება რომ უფრო გემართებს, ვინემ ადამიანებისა – ეს მართლმადიდებელი ეკლესიის უცილობელი და მარადიული წეს-განგებაა, რომლი-

თაც იგი პასუხს სცემდა ეკლესიის პირველ მღევნელებს და დღესაც პასუხობს ყოველი ჯურის მღევნელს, ვინემ ქვეყნის აღსასრულამდე. „მორჩილებაჲ ჯერ არს ღმრთისაჲ უფროჲს, ვიდრე კაცთაჲ“ (საქ. 5,29) – ეს არის პასუხი ეკლესიის ყოველი დროის, ყოველი სახის მღევნელთა მიმართ – ვინემ საშინელ სამსჯავრომდე.

ეკლესიისათვის პირველი მუდამ არის ღმერთი და შემდეგ – ადამიანი. ამიტომ ადამიანებს მანამ უნდა ვემორჩილებოდეთ, სანამ ისინი ღმერთს და საღვთო სჯულს არ ეწინააღმდეგებიან; მაგრამ როდესაც ადამიანები ღვთისა და საღვთო სჯულის წინააღმდეგ ილაშქრებენ, მაშინ ეკლესია მათ უნდა დაუპირისპირდეს. და თუ ასე არ მოიქცევა – მაშ როგორღა დარჩება ის ეკლესიად, ანდა მისი წარმომადგენლები – მოციქულთა მემკვიდრეებად?! ასეთ დროს ე.წ. საეკლესიო იკონომიით (შემწყნარებლობით) თავის მართლება სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის და ეკლესიის ფარული გაცემა. ამგვარი იკონომია მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს ეკლესიის ღალატია.

ეკლესია არის მარადისობა დრო-ჟამში, წუთისოფელში. ეს ქვეყანა ცვალებადია, ხოლო ეკლესია – უცვლელი. ეკლესიის მარადიული საღმრთო ჭეშმარიტება, საღმრთო სახარება და მორწმუნეთა საცხოვნებლად მისი მარადიული საშუალებებიც უცვლელია – რადგან უცვალებელია უფალი იესო

ქრისტე, რომელიც თავად ქმნის ეკლესიას ასეთად და მარადიულია მისი სახარებისეული ჭეშმარიტება: „იესო ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე“ (ებრ. 13.8)

ეკლესიის მიერ მარადიული დროში იმყოფება, რათა მისით დრო-ჟამი იკურთხოს, მარადიულს შეერწყას და მას გაუსწროს. ეკლესია კი არ უნდა ერგებოდეს დროს, არამედ, პირიქით – დრო უნდა ერგებოდეს ეკლესიას, ვითარცა მარადიულს. დროის სულისკვეთება ეკლესიაზე უნდა ორიენტირებდეს, რადგან ეკლესია არის მარადიული, ღმერთკაცობრივი სულის მატარებელი. ეკლესია არის მარად წმიდა, მარად სამოციქულო, მარად საყოველთაო და ღმრთაებრივი – ამიტომ იგი არასოდეს არ გაწირავს მარადიულს – დროებითზე, ღვთაებრივს – ადამიანურზე, ზეციურს – მიწიერზე.

ეკლესია დროის სულისკვეთებას არასოდეს არ ერგება, პირიქით – მან უნდა შეუწყოს დრო მარადისობას, დროებითი – მარადიულს და ადამიანური – ღმერთკაცობრივს. ეკლესიის მარადიული გზა ამქვეყნაზე გაივლის: პირველყოფლისა – ღმერთი და შემდეგ – ადამიანი: „რადთა იყოს იგი თავადი (უფალი იესო ქრისტე) ყოველსა შინა მთავარ“ (კოლ. 1,18).

ხელისუფლება არის ღმერთისგან (რომ. 13, 1-6), ფასეულობათა იერარქია და წესრიგის იერარქიაც ღვთისმიერია – ამიტომ ხელისუფლებას უნდა ვემორჩილებოდეთ, ვითარცა ამქვეყნად ღვთივმონიჭებული წესრიგის მარეგულირებელს და მცველს; სხვაგვარად ყველაფერს ქაოსი და ანარქია მოიცავდა. მაგრამ ხელისუფალთა მორჩილება მანამ გვმართებს – სანამ ისინი ქვეყნად ღვთაებრივ წესრიგს იცავენ; სანამ – ღვთის სამსახურში არიან; სანამ – ხელისუფლებას მახვილი ბოროტის დასასჯელად და კეთილის დასაცავად

უპყრია; ხოლო როდესაც ხელისუფლება საღვთო სიკეთის მდევნელი ხდება, როდესაც ხელისუფლება ყოვლადსიკეთის, უფალ იესო ქრისტეს და მისი ეკლესიის მდევნელი ხდება – მაშინ ასეთი ხელისუფლების არც მორჩილება და არც ყურისგდება არ შეიძლება; ასეთ ხელისუფლებას ქრისტიანი უნდა ებრძოდეს და უნდა იბრძოდეს სწორედ სახარებისეული საშუალებებით.

არაფრით არ შეიძლება, რომ ქრისტიანი ღმერთზე უმეტესად ადამიანს ემორჩილებოდეს. მით უფრო, ისეთ ადამიანებს, რომლებიც ჭეშმარიტი ღვთის და მისი სახარების მოწინააღმდეგენი არიან.

თუმც კი ხელისუფლება ღვთისგანაა, მაგრამ როდესაც ხელისუფლება ღმერთს განუდგება და მის წინააღმდეგ გაილაშქრებს, მაშინ იგი მოძალადედ იქცევა, რითაც კარგავს ღვთიურობას და ეშმაკისეულად იქცევა.

მაშასადამე, ჩვენ, ქრისტიანებმა, ხელისუფლების საიდუმლოც ვიცით და ძალადობის საიდუმლოც: ხელისუფლება – ღმერთისგან კურთხეულია; ყველაფერი, რაც ღვთისგან არის – კურთხეულია; ხოლო როდესაც მას ბოროტად იყენებენ – იგი ეშმაკისგან არის. ღვთაებრივის ბოროტად გამოყენება – აი, ეს არის სრულად ეშმაკი და ეშმაკეული სამყარო, რომელიც ადამიანს მოიცავს.

როდესაც ხელისუფლება ღმერთს ემყარება, მაშინ ღვთის მფარველობაშია და ღმერთთან იმყოფება, იგი ღმრთისმიერია და ღვთივკურთხეულია; ხოლო როდესაც ხელისუფლება ღმერთს განუდგება, იგი ძალადობად გადაიქცევა და ამით ღვთის მოწინააღმდეგის – ეშმაკის ძალაუფლებას დაუმორჩილებს თავს.

ასეთია ხელისუფლების ბუნებასა და ფასეულობებზე სახარებისეული, წმიდა მოციქულთა და მამათამიერი მართლმადიდებლური მოძღვრება. ასეთია

ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა და უცოდველი მოძღვრება ხელისუფლების შესახებ; ასეთია იგი დასაბამიდან ვინემ დღესაქამომდე და უკუნითი უკუნისამდე. ამას მოწმობს ყველა წმიდა მოციქული, ყველა წმიდა მამა, ყველა მოწამე: წმიდა პირველმოწამე სტეფანედან მოყოლებული დღემდე (ახალმოწამეთა ჩათვლით). მოწამეები, რომლებიც უფალ იესო ქრისტესთვის ეწამნენ, ამქვეყნიერმა ღვთისმგმობმა ხელისუფლებმა აწამეს. ხელისუფალთაგან წამებულ, დევნილ და ტანჯულ წმიდანთა რიცხვი მილიონობითაა. ისინი წმიდანები არიან და უკვდავნი, რამეთუ დაამოწმეს ღმერთკაცებრივი ჭეშმარიტება – რომ ქრისტიანებმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ამქვეყნიურ ხელისუფალთა, საერო და სასულიერო მთავრობების უღმერთო და ღვთისმგმობელ ბრძანებებს და სულერთია ვინ და სად იქნებიან ეს ხელისუფალნი.

ყოველი წმიდა მოწამე, ქრისტეს სარწმუნოების ყოველი წმიდა აღმსარებელი,

ცოცხალი განსახიერება და უკვდავი ხატებაა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველწმიდა სახარების ამ სწავლებისა, რომელსაც ყოველი გონებით, ყოველი ძალით და ყოველი გულით იცავდა ქრისტიანი. და სწორედ ამიტომ აწამებდა და კლავდა საუკუნეთა მანძილზე მათ ღვთისმბრძოლი ხელისუფლება...

...ასეთია მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება ხელისუფლების მიმართ ეკლესიის დამოკიდებულებაზე. ეს არის გზა და ჭეშმარიტება ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიისა მოციქულთაგან დღემდე და ამქვეყნიური ცხოვრების აღსასრულამდე. ამიტომ ამ სწავლების ხარჯზე არც არაფრის დათმობა და არც კომპრომისი არავის, თვით მსოფლიო კრებასაც, არ ხელეწიფება...

თარგმნა

მარიამ (მარინე) ნიაურმა

შემოკლებით დაიბეჭდა

ჟურნალ „ივერიის გაბრწყინებაში“

2007წ. 1(50)



WMIDA EQVTIME ARMSAREBELI (KERESLIZE)

~ GZA CXOVREBISA ~

(„გამოკრებილი სწავლანი“)

ლოცვისათვის



წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე)

- ლოცვა ბუნებით შეერთება არს ღვთისა და კაცისა, და საქმით – სიმტკიცე არს სოფლისა. დედა არს – ცრემლთა, მერმე შვილი მათი – მოტევება ცოდვითა; ხიდი არს – განსაცდელთაგან გამყვანი; ზღუდე და შუაკედელი არს ჭირთა არა მომშვები; შემშუსვრელი არს ეშმაკთა და ბოროტ კაცთა ბრძოლათა; მჭრელი მახვილი არს – მტერთა დამცემი და საქმე არს – ანგელოზთა და საზრდელი – უხორცოთა მათ ძაღთა; ლოცვა სიხარული

არს მერმისა მის საუკუნოდსა და საქმე არს – დაუსრულებელი და წყარო სათნოებათა. იგი წინამძღვარი არს მადლთა და წარმატებაა უხილავი და საზრდელია სულისა სულიერი. სინათლე არს გონებისა და მკვლელი სასოწარკვეთილებისა; მისნელი არს – მწუხარებისაგან და სიმდიდრე არს – მონაზონთა და საუნჯე – დაყუდებულთა; განმაქარვებელი არს – გულისწყრომისა და სარკე – სიხარულისა. გამომაჩინებელი არს საზომისა, სახე არს – წესიერებისა და საუკუნოსა მის მომასწავებელი სიმტკიცე. ახოვნება არს კაცისა და მსხვერპლი არს დიდებული; ლოცვა ყვაილი არს სამოთხისა და კეთილნაყოფ გამომღებელი არს საუკუნო ცხოვრებისა და შვებისა.

- ჭეშმარიტი მლოცველისათვის, ლოცვა არს სამსჯავრო (სასამართლო) და საყდარი (ტახტი) განსასჯელი (განსამართლებელი), პირველ დიდისა მის საუკუნოდსა სასჯელისა.

- აღსდევით და ვისმინოთ სანატრელისა მის ლოცვისა ხმაჲ, რომელსაც ღაღადებს ჩვენდა მომართ და იტყვის ხმითა მადლითა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენო თქვენ. აღიდეთ უღელი ჩემი (ლოცვა წრფელი) თქვენზედა და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა და ღხინება – წყლულთა თქვენთა, რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი მსუბუქ არს“ და ცოდვისა დიდთა მკურნალ.

- მივალთ შემთხვევად ღვთისა და მეუფისა ჩვენისა, ნუმცა ვიქმნებით განუმზადებლად სვლასა მას ჩვენსა (ე. ი. ცოდვათა

მოუშლელად), რათა არა გვიხილოს ჩვენ სათნოებათაგან აღუჭურველნი (შეუიარაღებელნი) და შიშველნი სამკაულისაგან სამეუფოსა მის მადლისა მისისაგან და რათა არა უბრძანოს მსახურთა, შორის წმიდათა მისთაგან, განძევა ჩვენი და მოშორებად პირისაგან მისისა შეკრულნი და წიგნი იგი სავედრებელნი ჩვენნი – დახეულნი პირადვე ჩვენდა მოიქცენ.

- მიხვიდოდე რა წინაშე უფლისა წარდგომად, იყავნ სამოსელი სულისა შენისა (ლოცვა) ძვირუხსენებლობის საქუსლით მოქსოვილი, რამეთუ ვერა რად ირგო ღოცვისა მისგან.

- იყავნ ყოველივე თხოვა შენი გონებითა მდაბლითა, რამეთუ მეზვერე იგი და უძღები ერთითა სიტყვითა სათნო ეყვნეს ღმერთსა.

- ერთი სახე აქვს წინაშე ღვთისა ყოველთათვის ღოცვასა შინა წარდგომასა, გარნა მრავალნი განყოფილებანი და თვითო სხვადასხვა სახეობანი არიან მისნი.

- რომელნიმე, ვითარცა მეგობარსა, ეგრეთ ეტყვიან მეუფესა; სხვანი მეოხებენ (შუამდგომლობენ) და ღოცულობენ სხვათათვის და არა თავთა თვისთათვის; სხვანი – ხორციელ დიდებისათვის ღოცულობენ; სხვანი – სულიერის დიდებისათვის; სხვანი ხორციელის სიმდიდრისა და სხვანი – სულიერის სიმდიდრისათვის; სხვანი – ხორციელის შვებისათვის და სხვანი – სულიერის შვებისათვის; სხვანი – ხორციელი სიმრთელისათვის და სხვანიც – სულიერის სიმრთელისა; სხვანი – მოსამართლისაგან განრინებისათვის (გადარჩენისათვის) და სხვანი – საშინელ სამსჯავროსა მას მართლმსაჯულისაგან განრინებისათვის; სხვანი – ცხოვრებისათვის და სხვანი – ცხოვრებისათვის; სხვანი – პატივის მიღებისათვის და სხვანი – შეურაცხყოფის დროსა მოთმინებისათვის; სხვანი თანამდებობისაგან განთავისუფლებისათვის ღოცულობენ და სხვანი – საპყრობილისაგან ხსნასა;

სხვანი ცოდვათა შენდობისათვის შეუვრდებიან ღოცვით უფალსა და ესრეთ სხვადასხვა ჯეროვანი და არაჯეროვანი ღოცვით იღწვიან.

- ყოვლისა უპირატეს და უმოსწრაფეს, ვედრებისა ჩვენისა ქარტასა ზედა „მადლობა“ ღვთისა დავაწესოთ, და მეორედ – „აღსარება“ და შემუსრვა გულისა გულისხმისყოფითა და ესრეთ „თხოვა“ ჩვენი ვაუწყოთ მეუფესა ჩვენსა; რამეთ ესე არს სახე კეთილი ღოცვისა, რომელსაც დაამტკიცებს წინასწარმეტყველი დავით: ღოცვა – „სული შემუსრვილი და გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხჳოს“. ამგვარად, ვითარცა ბრძანა უფალმან: „სული არს ღმერთი და ყოველთა მლოცველთა და თაყვანისმცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანააძს ღოცვა და თაყვანისცემა ღვთისა.“

- ჟამსა ღოცვისასა მიიღე სახე ესე გაჭირვებულის სნეულისა, ვითარ ევედრების იგი მკურნალსა, მაშინ, როდესაც ეგულება მისი გაჭრა, ანუ დაწვა მისი.

- ნუ სიბრძნისმეტყველებ ღოცვასა შინა, რამეთუ ყრმათა ჩჩვილთა მარტივითა სიტყვითა მრავალგზის მოწყალე ჰყვეს მამა მათი ზეცათა.

- ნუ მრავლისმეტყველებასა ეძიებ ღოცვასა შინა, რათა არა განიბნოს გონება შენი, ძიებად სიტყვათა და უნაყოფო იქმნე; არამედ – მეზვერისაებრ, მცირისა სიტყვითა სიღრმისაგან გულისა, თანაწარმოდგენითა ყოველთა ცოდვათა და მის მიერ უღირსად გამოჩენითა თავისა თვისისათა.

- რაჟამს ღმობიერ იქმნე სიტყვასა რომელსამე ზედა ღოცვასა შინა, დაადგერ მას ზედა და იტყოდე მას მრავალგზის, რამეთუ მცველი ჩვენი მახლობელად ჩვენთანა ილოცავს.

- ნუ აჩვენებ კადნიერებასა ღოცვასა შინა, თუნდაც დიდი სიწმიდე გაქვდეს, არამედ უფროსად სიმდაბლითა ფრიადითა მოაქციე თავი შენი და უმეტესად კად-

ნიერ და ნუგეშცემულ იქმნე.

- თუნდაც რომ ყოველივე კიბე სათნობათა სიმაღლისა აღგველოს, მაინც ცოდვათა შენდობისათვისვე ილოცვიდე, რამეთუ გესმა დიდი მოციქული პავლე რასა იტყვის ცოდვილთათვის, ვითარმედ: „რომელთაგან პირველი მე ვარო“.

- ვითარცა შემამზადებელი საჭმელთა არს ზეთი და მარილი, ეგრეთვე ფრთოვანმყოფელი ლოცვისა არს სიწმიდე და ცრემლი.

- უკეთუ შეიმოსო ყოვლითურთ სიმწვიდე და ურისხველობა, მაშინ გონების განუფანტველობასაც აღვილად შეიძენ ჟამსა ლოცვისასა.

- ისწრაფე, რათა აღმართო გონება შენი მარადის და შეუყენო სვეტი ლოცვასა შენსა და უკეთუ მოუძღურდეს სისუსტისა გამო, კვალად აღმართო იგი.

- გონებას ბუნებით აქვს დაუდგრომელობა, ხოლო რომელმან იგი შეჰქმნა, იგი შემძლებელ არს მის დაყენებად, ყოველთა მთხოველთა მისთათვის.

- უკეთუ მარადის ასწავლიდე გონებასა შენსა, არაგანშორებად შენგან, ტაბლის დაგებასაცა შენთანა იყოს და უკეთუ დააჩვიო დაუყენებელად მიმოსვლად, არაოდეს მოვიდეს შენდა.

- რომელთამე კეთილად უჩნს (მიაჩნია) სიმდიდრე და ზოგს დიდებად და ზოგს პატივად. ხოლო ჩემდა მიახლება ღვთისა კეთილ არს და დადებად უფლისა მიმართ სასოება უვნებელობისა ჩემისა.

- ნუ დავსცხრებით ვნებულნი ესე ვედრებად უფლისა, რამეთუ ყოველნივე უვნებლნი, ვნებულებისაგან მისწვდნენ უვნებელობას. კეთილი იგი ჩვენი უფალი იესო ქრისტე, კეთილთა და მადლიანთა კაცთა, თხოვათა ადრე მიცემითა მათათა, სიყვარულად თვისად მიიზიდავს მათ, ხოლო უმადლოთა და უგულისხმოთა არა მისცემს ადრე, რათა თხოვათა მათთა შიმშილითა და წყურვილითა ჰყვნეს იგინი მოთმინე, მარადის მისდა ლოცვითა და ვედრებითა, რამეთუ ძაღლმან მიიღის

რა პური, წარვიდის მიმცემელისა მისგან. ხოლო სულმან უგუნურმან და უგულისხმომან, მიიღის რა თხოვა თვისი, არღარა შეუვრდების ღმერთსა ვედრებით.

- ყოველსა ჟამსა ლოცვისა შენისასა, წინათვე განამზადე თავი შენი ლოცვისათვის და ღვთისა მიმართ ვედრებისა შენისა და წარემართო კეთილად.

- სიყვარული მხედრისა მეფისა მიმართ, გამოაჩინოს მისთვის ბრძოლამან; ხოლო სიყვარული მოღვაწისა ღვთისა მიმართ, გამოაჩინოს ლოცვისა ჟამმან.

- საზომი სულიერის მაღალღირსებისა შენისა, ლოცვამან შენმან გამოგიცხადოს, რამეთუ „სარკედ“ მონაზონისა, გინა კეთილმოღვაწისა კაცისა სახელსდევს ლოცვას, წმიდათა მამათა.

- რომელიც ჟამსა ლოცვისასა, საქმესა რასამე შეექცევის და ლოცვასა სტოვებს, მათ ეშმაკნი ემღერნიან (ეცინიან); რამეთუ ესე არს ნება ეშმაკთა მათ, რათა რაიმე ამაო მიზეზით, ჟამი ლოცვისა, ცხოვრების მომნიჭებელისა, წარიპაროს ჩვენგან.

- ნუ უარს ეტყვი, რომელი გთხოვდეს: ლოცვა ჰყავ ჩემთვის და დაღაცათუ არა გაქნდეს ლოცვა სრული, მაინც ულოცე მას, შემუსვრილითა გულითა; რამეთუ სარწმუნოებამან მისმან, რომელიც ითხოვს მრავალგზის შემუსვრილის გულით, მლოცველიცა აცხოვნა.

- ეკრძაღე, რათა არა აღზვავდე, რა ჟამს სხვათათვის ლოცვა შენი სასმენელ და აღმასრულებელ ჰყოს უფალმან, არამედ უწყოდე, რომ მათის სარწმუნოებისათვის ჰყო უფალმან მადლი და წყალობა იგი.

- ყოველი ბეჯითი მასწავლებელი ყოველდღე ეძიებს ყრმისაგან წარმოთქმად, რაცა იგი ისწავა მისგან. ეგრეთვე, ყოვლისა გონებისაგან, ყოველდღე იძიებს უფალი, ყოვლისა კაცისაგან, ძალსა, რომელი მიუღებებს მისგან კეთილი საქმისათვის.

- რა ჟამს კეთილად ილოცო, მაშინ ბრძოლასა აღგიდგენენ მტერნი, რამეთუ ესე არს მარადის ჩვეულება მათი.

- ყოველივე სათნოება და საქმენი და

უფროსად ლოცვა გულისხმისყოფით და მხურვალეობითა გულისათა იქმნებოდეს.

- სულმან მხურვალედ მაშინ ილოცოს, რაჟამს გულისწყრომასა მძლე ექმნეს.
- ყოველი საქმე მრავლითა თხოვითა და შრომითა მოგებული მტკიცე არს.
- ხილულსა ოცნებასა და ჩვენებასა ლოცვასა შინა ნუ შეიწყნარებ, რათა არა სიცოფე და გარდარევა მოიწიოს შენზედა და გონებით ცთომილ იქმნე და ცხოვრებით დაცემული.
- ყოვლისა თხოვისა გულსავსება, ლოცვასა შინა გამოსწნდების.
- გულსავსება არს უცნაურთა მადლთა ცნობა შეუორგულებელი.
- იყავ მოწყალე ფრიად, უკეთუ ხარ მეძიებელი ლოცვისა წმიდისა, რამეთუ მის მიერ მოიგებენ ჭეშმარიტნი მონაზონნი ასეულსა მოსაგებელსა უფლისა მიერ. ხოლო უქორწინებულნი, უბიწოებითა და ქალწულებით ცხოვრებულნი (ერის კაცი და ქალი) მიიღებენ უფლისა მიერ სამოცუელსა. ხოლო, ქორწინებულნი (ერის კაცი და ქალი), სიწმიდით ცხოვრებულნი, თვისთა მეუღლეთა თანა და ღვთის სათნოდ მყოფნი, მიიღებენ უფლისა მიერ, ოცდაათეულსა, სიტყვისაებრ უფლისა.
- რაჟამს აღეგზნის (აღენთის) ცეცხლი იგი მხურვალეობისა სიყვარულისა ღვთისა სულსა შინა, მაშინ აღდგის ლოცვა და აღემართოს ზეცად უფლისა მიმართ, და იქმნების გარდამოსვლა ნათლისა მის სადმართოსა ქორსა (ტახტსა) მას შინა სულისასა.
- კარგი ცხენი სლვასა თვისსა განხურდების რა, უმეტესად შესძინებს სრბასა. – ეგრეთვე მხნე, კეთილმოღვაწე და ლოცვის მოყვარე კაცი იწყებს რა ლოცვასა, არათუ დაღონდის და დახსნდების ჟამსა ლოცვისასა, არამედ უმეტეს წადიერებით და სიყვარულითა განაგრძობს ლოცვასა. ასეთს კაცსა, შორიდგან ეცემა ბრძოლისა და სასჯელის სუნი, ამისათვის წინდაწინვე განემზადება და უკუნისამდე დაადგრება

უძლეველად.

- ფიცხელ არს მწყურვალე კაცთა პირთაგან გამოტაცება წყლისა; ეგრეთვე, რამდენად უფრო უფიცხლეს არს მის მოსწრაფე სულისა, რომელი ილოცვიდეს ღმობიერებითა და დაუშალოს ვინმემ ლოცვაი იგი საწადელი, ვიდრე აღსრულებადმდე მისსა.
- უკეთუ განშრენ თვალთა შენთა ცრემლთა წყარონი და განცივდეს გულთა შენთა ღვთის სიყვარულისა სიმხურვალე, ამისთვის კვალად შესძინე მოუწყენლობა ლოცვისა; რათა მოაქციო შენადვე მადლი იგი, რომელიცა განგშორდა. რადგან არა არს სხვა ღონისძიება უმჯობესი, შესანდობელად ცოდვათა შენთა, ვითარცა ლოცვა მხურვალე, კეთილ საქმიითურთ.
- ვითარცა საძაგელ არს ქვეყნიური მეფისათვის: უკეთუ ვინმე სდგეს წინაშე მისსა, მეფეს პირი და ზურგი მიაქციოს და მეფის მტერთან ზრახვიდეს – ეგრეთ საძაგელ არს წინაშე უფლისა, რომელი სდგეს ლოცვასა შინა და შეიწყნარებდეს არაწმიდათა გულისსიტყვათა.
- რაჟამს მოგიხდეს ძადლი იგი წარმტყვენელი (წარმტაცი) გონებისა შენისა, საჭურველითა ლოცვისათა განსდევნე და უკეთუ განფიცხნეს და არა გშორდებოდეს, ნუ დააცადებ და ნუცა ადგილსცემ.
- ითხოვდი გლოვისა მიერ და ეძიებდი მორჩილებისა მიერ და ირეკდი სულგრძელებითა, რამეთუ, „რომელი ითხოვდეს – მიეცეს და რომელი ეძიებდეს – კპოვოს და რომელი ირეკდეს – განელოს“ (კარი სასუფეველისა).
- ეკრძაღე და დედაკაცისათვის ნუ ფრიად ილოცავ ლოცვასა შინა შენსა, რათა არა წარიტაცო შენ ეშმაკისაგან კეთილის მხრიდგან და დაცემულ გყოს.
- ნუ ჰყოფ ჟამსა ლოცვისასა სხვა კეთილ საქმეთა გამონახვის ჟამად, თუ არა, ვერცა ერთი იპყრა და უძვირესი და უუდიდესი შრომა და ჭირი დაგჭირდეს.
- რომელსაც დაუცადებელად და მოუშორებელად ეპყრას კვერთხი იგი ლოცვი-

სა, მას არა შეუბრკმეს და უკეთუ შეუბრკმეს, რაიმე მოულოდნელი განსაცდელი, სრულიად არა დაეცეს; რამეთუ ლოცვა არს საღმრთო უძლეველი წინმბრძოლი კვერთხი, ცხოვრების მომნიჭებელი და ტკბილი შეერთება უფლისათანა, რომელი არა მიუშვებს კაცსა ბოროტისა მიმართ.

- ამით ვსცნათ, ფრიად დიდი სარგებელი ლოცვისა, რამეთუ არა სადა ესოდენი დიდი ბრძოლა არავის არა აქვს ეშმაკისაგან, ვითარ მლოცველს, ჟამსა ლოცვისასა; ხოლო ნაყოფი მისი მაშინ ვსცნათ, რაჟამს იძლივნეს მტერი ჩვენნი სრულიად. კვალად ესეცა ვსცნათ, რომ სათნო არის ღვთისათვის წინააღმდეგ მტრისა ბრძოლა,



სამთავრო. ლოცვა „მაყვლოვანში“

რადგან თქმული არს წინასწარმეტყველისა მიერ: „გთნდა შენ უფალო, რათა არა იხარებდეს მტერი ჩემი ჩემზედა, ჟამსა ბრძოლისასა“.

- სთქვა წინასწარმეტყველმან დავით: „დადადგჳყავ, ყოვლითა გულითა ჩემითა“ ესე იგი არს: პირითა, სულითა და გონებითა. რამეთუ, რომელსა ლოცვასა შინა შეიკრიბნეს სული, გული და გონება ერთად, მუნ ღმერთი არს მათ შორის.

- უკეთუ დაუცხრომელად მტერთა შენთა განშორებისათვის ევედრებოდე უფალსა, რაჟამს მოგეახლოს, გვემულნი ლოცვისაგან, ვითარცა ცეცხლისაგან ივლტოდის.

- ახოვნება კეთილი მოიგე შენ და ესრეთ მოიგო ღმერთი, მასწავლელად შენსა ლოცვისა.

- საზრდელი, სხეულისათვის დროებითი ცხოვრების მიმცემი არის, ხოლო ლოცვა – სულისათვისაც საუკუნო ცხოვრებისა და ნეტარების მიმცემი არს.

- როგორც აღმართებული სანთელი თავის გარეშემო ცვილს დაადნობს და დაიწვის და შეიწირვის ღვთისათვის, ეგრეთვე – გულწრფელი, ჭეშმარიტი მლოცველი, თავის თავის ნებას უარჰყოფს და აღანთებს სულსა თვისსა, ღვთისა და ძმათა სიყვარულითა; და დაადგება ნებასა ღვთისასა და შესწირავს თავსა თვისსა სანთლებრ ღმერთსა, ძმისათვის, მრავლის შრომითა და მოღვაწეობითა, გულწრფელი ლოცვითურთ.

- ლოცვა ჩვენ ღმერთმან არა ამა ახალი სჯულის დროს მოგვცა, არცა ძველად, წინასწარმეტყველების დროსა, არამედ – შექმნიდგან ადამისა. ოდეს ადამი მცდარი გამოაძო ღმერთმა სამოთხით, და სცნა ადამმა დასჯა თვისი, დასჯდა გარეშე მის სამოთხისა და სტიროდა და გოდებდა მწარედ... და ევედრებოდა დამბადებელსა თვისსა ღმერთსა კვალად შეწყნარებად. ისმინა ღმერთმან ცრემლით ლოცვა ადამისი და

სინანულით ევედრება მისი და აღუთქვა ოდესმე სხნა და მიცემა მისვე სამოთხისა, მოვლინებითა ძისა თვისისა იესო ქრისტესითა. იმ დროს მისცა და განუწესა ღმერთმან ლოცვა ადამს და ნათესავსა მისსა ვიდრე აქამომდე და აწცა – დასასრულადმდე ქვეყნისა. იქიდგან სჩანს თუ რა ძალა და ღირსება აქვს სასოებით ლოცვასა.

- აბელ მართალმა სასოების ლოცვით და გულის სიმდაბლით შესწირა ღმერთს მსხვერპლი და ღმერთმან მიიღო ძღვნად საწადლად, და სუნად-სუნნელად შეიწირა.

- უსასოდ, ულოცველად და გულმად-

ლობით შესწირა კაენმა ღმერთს მსხვერპლი და ღმერთმან არ მიიღო იგი და არ შეიწირა ამისათვის, სხვა დიდს სიბოროტეშიც შთავარდა და დაისაჯა მწარედ.

- ენუქ და ილია წმიდა და უბიწო ცხოვრებით სათნო ეყვნენ ღმერთსა და სასოებით ილოცეს და შესწირეს ძღვენი ღმერთსა და ღმერთმან აღამაღლა იგინი სულითა და ხორციით ცათა შინა.

- სასოების ღოცვით, ნოე კიდობანში დაცულ იქმნა ღვთისა მიერ და წყლით რღვნისაგან იხსნა და მსხვერპლი მისი შეიწირა სუნად-სურნელად.

- ქვეყანა იგი უწინდელი, ულოცველი და უშიში (თვინიერ ნოესა) ღმერთმა წყლით წარღვნა, დაანგრია და ყოველნივე დაღუპნა და აღხოცნა.



- დანიელ წინასწარმეტყველი, ჯურღმულში ჩაგდებული, ღომის პირისაგან იხსნა ღოცვამან მისმან.

- წმიდანი სამნი ყრმანი: ანანია, აზარია და მისაილი, მეფისაგან ცეცხლის სახმილში ჩაყრილნი, უვნებლად იხსნა სასოებით ღოცვამან.

- მრავალნი სოფელნი და ქალაქნი სოდომ-გომორისა, მათის ცოდვის უნანველობისა და უსჯულოებისათვის დასწვა და დააქცია უფალმან.

- სხვანი მრავალნი ღვთის წინააღმდეგნი, მეფენი და მთავარნი, ბოროტებით და გარყვნილებით მავალნი, დაამხვა და აღმოფხვრა ძირითურთ მათმა ბოროტებამ, მათის უსინანულობისა და ულოცველო-

ბისა გამო. ხოლო შიშმან ღვთისამან და სიმდაბლით და სასოებით ღოცვამან, ძველად და ახლადცა, მრავალნი გამოაჩინნა წმიდად და ღირსად მისსა უფალმან და მხილველ და სასწაულთმოქმედ იქმნენ და უხორცოთა ანგელოზთა თანამობაძავ და შერაცხილ იქმნენ, რომელნიც ერთს თვალის წამსა შინა, მსგავსად ელვისა, მიიწივნენ მსასოებელთა და მლოცველთა ტყვეთა დასჯილთათანა და გამოიხსნეს და კვალად მრავალნი წყალთა და ზღვათა ზედა ფერხითა ვიდოდენ დაულტობულად, ვითარცა ხმელეთსა ზედა და კვალად მრავალითა ღოცვითა მათითა განაპეს ზღვა და მდინარენი და ფერხითა ხმელად ვიდოდენ, ვითარცა ხმელეთსა ზედა.

- ვინც შეუდგება ღმერთს სასოებით, სიმდაბლით და ღოცვით, იგი აქვე ცხადად იხილავს ღმერთს, ვითარცა ძველად და იქ ჭეშმარიტად ანგელოზთათანა შეირაცხება.

- მრავალნი მეფენი, მთავარნი, თავადნი და ერისკაცნი შეაერთნა ღმერთმან წმიდათა ანგელოზთა თვისთა: სინანულისა, ღოცვისა და სასოებისა მათისათვის.

- რომელთა დაივიწყეს ღმერთი, იგინი დაისაჯნენ მწარედ, ორთავე ცხოვრებასა შინა.

- არავინა სთქვას, უნანელად ცოდვას აღვხოცავო, არა აღიხოცების უნანელად, არამედ განძლიერდების, ვითარცა ყინვა სიცივისაგან დიდისა.

- ცოდვა აღიხოცების ღოცვითა და სინანულითა და დადნების – ვითარცა სანთელი ცეცხლისაგან და თოვლი – მზისაგან.

- ამისათვის ჯერ არს, ძმანო, რათა ყოველთა დღეთა შინა ჩვენთა განკრძალულად ვიყვნეთ ყოველნი და ღვთისადმი სიმდაბლით შეწირული ღოცვით და კეთილი საქმით მოვიდოთ ცხოვრება საუკუნო დაუსრულებელი.

- იტყვის კაცი ღვთისა ისუ ზირაქი, გულსმოდგინე ღოცვისათვის: უკეთუ

გული და გონება განგებნეს ლოცვასა შინა და არ ესმინოს და იცნო – ისევ დაუბრუნდი მას ლოცვასა შენსა და სმენით წარსთქვი სასმენელად შენდა.

- დიდი ნიჭი და დიდი ღირსება არის ლოცვა და დიდნი კეთილნი მოგვეცემის მის მიერ, უკეთუ გონებითა მსურვალთა აღვასრულებთ მას; გინათუ მოგვეცეს სათხოვნელი ჩვენი, გინა არ მოგვეცეს, ყველა მადლობით უნდა შევიწყნაროთ.

- მრავალგზის არ მოიღება სათხოვნელი, გარნა უმჯობეს არს ჩვენდა არა მოვიღოთ და არ მოგვეცეს ღმერთმან, უმჯობესობისათვის ჩვენისა, ხოლო ვინადგან უმჯობესობისათვის არა მოგვეცეს – ესე მოცემა არს.

- ჩვენ არ ვიცით უმჯობესი ჩვენი, ვითარცა მან უწყის უმჯობესი და ამისთვის, გინათუ მოგვეცეს სათხოვნელი იგი ჩვენი, გინა არა – ყოველთვის მადლობა გვმართებს.

- კვალად მოციქული იტყვის: უკეთუ ცოდვასა ვიქმოდეთ, არცავე მაშინ ისმენს ჩვენსას ღმერთი.

- ბრძანებს უფალი: უკეთუ შვილმა სთხოვოს მამას პური, ნაცვლად პურისა ქვას არ მისცემს მას; კვალად, უკეთუ სთხოვოს თევზი, ნაცვლად თევზისა გველს არ მისცემს მას – ესრეთ ვიცით ჩვენ კაცთა უწყალოთა, რათა არა მივსცეთ შვილთა ჩვენთა ნაცვლად კეთილისა ბოროტი; მაშა, რაოდენ თვით მოწყალე ღმერთმან იცის ჩვენთვის უმჯობესი კეთილი მისაცემელი და არ მოგვეცემს იმას, რაც ჩვენთვის არ ვარგა და მავნებელი იქმნება.

- მრავალნი შეველენ ეკკლესიასა და ილოცვენ ლოცვათა მრავალთა, გარნა არა იციან რასა იტყვიან, რამეთუ განბნეულ არს გონება მათი, ბაგენი იძრვიან და სასმენელთა მათთა არა ესმის, თუ რასა იტყვიან. აწ შენ თვით არა გესმის ლოცვანი და ღმერთმან განა ისმინოსა?!

- მუხლთა მოიღრეკ და გონება შენი გარედ რბის; გვამი დგას და სული – არა; პირი შენი ლოცვასა იტყვის და გონება

შენი რიცხავს ვახშთა და მოსაგებთა, ანუ სანოვაგეთა, ანუ სხვათა რასამე ბოროტთა და საეშმაკოთა.

- ეშმაკი უკეთური არს და იცის თუ ვითარ მარადის კეთილი მოგვეცემის ლოცვისა მიერ, ამისათვის ისწრაფის განბნევასა გონებისა ჩვენისასა, რათა ვერა რად ვირგოთ მისგან. მრავალგზის სარეცელსა ზედა ჩვენსა ვიწყველით მის მიერ და არა რასა მოგვაგონებს კეთილსა და რაჟამს ლოცვისათვის აღვსდგებით, იგი მსწრაფლად მრავალსა ბოროტ გულისსიტყვასა მოგვაგონებს, რათამცა ცალიერნი და არა სარგებელნი გამოვედით.

- ჩვენ, უკეთუ გვენებოს, რათა არა ჰყოფდეს ამას ეშმაკი, ვილოცვიდეთ რა მოვაქციოთ და შემოვიკრიბოთ გულისსიტყვანი გულთა შინა ჩვენთა და მით აღვამაღლოთ ცათა შინა ლოცვა ჩვენი. მაშინ იხილოს ეშმაკმა, ვითარმედ, ვერარასა ირგებს შენგან და წარვალს სირცხვილეული.

- იხილეთ მაგალითი: უკეთუ დიდებულის კაცის წინაშე ვსდგეთ, რამდენს შიშსა და კრძალულებას ვაჩვენებთ ჩვენ იმას, არსად არ გავიხედავთ, არამედ ხორცისა და გულის თვალთ მისდა შემსჭვალული ვართ. ხოლო აწ რამდენად უმჯობეს არს, ოდეს წინაშე ღვთისა ვსდგეთ, კრძალვა და შიში მისი, რომელიც იგი მხედველ არს გონებათა ჩვენთა.

- რამეთუ უკეთუ გვიხილნეს ღმერთმან, ვითარმედ ენითა მხოლო ცალიერთთა ვითხოვთ ცოდვათა მოტევებასა და გონებითა კი სხვასა გუწევრთიდეთ, არ მოგვეცემის მოტევება. არამედ უფრო განრისხნეს, რადგან საჭირო არს ლოცვასათანა შემწვედ შეკრება გონებისა და ცრემლთაცა.

- ვერ გაახარებს წყალი ხესა და ნერგსა და მწვანვილსა ისე ძლიერად, ვითარცა გაახარებს ცრემლნი ლოცვასა და ესრეთ ფრთოვანჰყოფს მას და ადაფრენს წინაშე ღვთისა.

- ჭეშმარიტად წინაშე ღვთისა მან

ილოცა, ვინაცა შემოიკრიბა სული და გონება. და არა აქვდეს მას ჟამსა შეერთება სოფლისა და საზრუნავთა მისთა; არამედ ყოველივე კაცობრივი გულისსიტყვა განსდევნა, და ვითარცა ცათა შინა მდგომარე იყოს და სულითა მგლოვართა ხადოდეს ღმერთსა – ესრეთ უხმს ლოცვა კეთილსა მლოცველსა.

- ნუმცა მრავლითა სიტყვითა შეაწუხებ ღმერთსა, არამედ მცირითა და მხურვალითა გულითა ჯერ არს ვედრება მისა; რამეთუ არა სიტყვათა ასმენს ღმერთსა, არამედ მხურვალება გონებისა. ნუ ბაგითა ხმასა ჰყოფ, არამედ გონებითა. დადაცათუ ბაგენი სდუმნენ და გონება ხმობდეს, ესე უდიდესად ესმის ღმერთსა.

- არა ადგილს ეძებს ღმერთი, არამედ სულსა მხურვალესა, რომელი გამოიძიებს: უღებებასა და გულსმოდგინებასა, ორგულობასა და ერთგულებასა ჩვენსასა, რომელი გვაქვს ლოცვასა შინა.

- დადაცათუ ვსდგეთ წინაშე ღვთისა ვედრებად მისა, გარნა ერთსაცა პატივსა არა ვაჩვენებთ, ვითარცა აჩვენებს კრძალვით პატივსა მეგობარი მეგობარსა, გინა მსახური ბატონსა, გინა მხედარი ერისთავსა.

- ამისათვის ვეკრძალნეთ, რათა არა დასასჯელად ჩვენდა იქმნას უშიშრად და უკრძალველად წინაშე მისსა წარდგომა ჩვენი, არამედ – მოსატყვებელად ცოდვათა და მოსაგებელად ცხოვრებისა მის საუკუნოვსა.

- უვნებელი იგი კაცი არს, რომელიც ესრეთ მხურვალე იყოს მოკიდებული სათნოებათა ზედა, ვითარცა იგი ვნებულნი და დახსნილნი გულისთქმათა ზედა.

- უკეთუ ესრეთ არის ნაყროვანების

საზღვარი, რომელიც უკეთუმცა არა უნდეს ჭამა საჭმლისა, თავსა თვისსა აიძულებს (ძალას დაატანს) ჭამად საჭმლისა. – ასეთივე საზღვარი არს მარხვისათვისაც, რომელიც მშიერსა მას ბუნებასა თვისსა არა მისცემს მოღვაწე ღვთისა საზრდელსა უბრალოთ.

- უკეთუ ესე არს აღსასრული ვეცხლისმოყვარეობისა, რომელი არაოდეს არ დასცხრების და არცა განსძღების შეკრებითა. – ესრეთივე სისრულე არის უპოვარებისაცა, რომელი არა განსძღების სიყვარულისათვის ღვთისა, ქმნათა კეთილთა საქმეთათა და ამისათვის არცა თავისა ხორცთაცა რიდოს სასჯელი.

- უკეთუ ესე არს სიდიდე მოწყინებისა, რომელ, თვისსა განსვენებასაცა შინა მოთმინება არა აქვდეს, ეგრეთვე არის მოთმინებისა საზღვარი, რომელსაც ჭირი მოთმინებად შეერაცხოს.

- უკეთუ ესე არს სიღრმე მრისხანებისა, რომელი მარტოებათაცა რა იყოს კაცი, განრისხდებოდეს ესრეთივე არს სულგრძელებისა საქმე – რომელ შემაწუხებელსა მისსა, ვითარცა მეგობარსა ხედვიდეს.

- უკეთუ ესე არს ცუდადმზავობისა სიმაღლე – რომელ თუმცა არავინ იყოს მაქებელ მისთანა, მაინც იგი მაჩვენებლობისა საქმესა იქმოდისვე. ეგრეთივე სიმდაბლისა სახეცა არის – რომელ, არცა თუ ერსა შეკრებულსა შორის იყოს, არა წარიპარვის გონება მისი მაჩვენებლობად.

- უკეთუ ესე არს ამპარტავნებისა სახე, რომელ უნდოთა და მცირეთა საქმეთა ზედა მადლობდეს; ესრეთვე სიმდაბლისა სიკეთე არის – რომელსაც მადალნი თვისნი სათნოებანი არარად შეერაცხნეს.

KURTXEVA MCIRISA SQEMISA, ROMEL ARS MANDILI ESE IGI MAZARA

(ამონარიდი)

განახუნ გულისა შენისა ყურნი ძმაო, და ისმინე ხმა უფლისა, რომელსა იტყვის: – „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი ცოდვთა და მე განგისუნოთქუნ. აღიღეთ უღელი ჩემი თქუნ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქუნთა“.



სკენილი

აწ მიგება თვითოეულისა კითხვისა მიეც ღმერთსა შიშითა და სიხარულითა მოუმედგრებლად: „გულისახმაჰყავ ესეცა, რამეთუ თვით მაცხოვარი ჩუენი, ყოვლადქებულისა დედისა თვისისა თანა, და წმიდათა ანგელოსთა და ყოველთა წმიდათა თანა აქა მდგომარე არს, სმენად სიტყვისა შენისა, მეძიებელი, რათა რაჟამს მოვიდეს განსჯად ცხოველთა და მკუდართა, მოგაგოს შენ. არა ამისათვის რომელი აღიარე, და აღუთქუ, არამედ რომელიცა დაიცუა აღუარებლად. აწ ამიერთგან უკეთუ მოსრულხარ წინაშე ღუთისა, გკითხავ, სიმშვიდით და მომიგე ჩუენ ყოვლითა კრძალულებითა:

კითხვა: რადსათვის მოსრულხარ ძმაო შევრდომით, წმიდასა ამას მსხუერპლის შესაწირავსა და წმიდათა ამათ კრებულთა?

მიგება: მნებავს განშორებად სოფლისაგან, პატიოსანო მამაო.

კითხვა: ნებითა შენითა ღირს იქმნებია ანგელოსებრივსა ამას სახესა და წესსა გუნდთა მონაზონთასა?

მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

წინამძღუარმან: ხოლო რაჟამს აღვირჩევ იეს კეთილი და სანატრელი ესე საქმედ, უკეთუ გნებავს განსრულებად კეთილისა საქმი-

სა შრომითა, რუდუნებითა და ტკივილით განსრულებების.

კითხვა: ნებისით გონებითა შენითა მოხუალა წინაშე უფლისა?

მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა პატიოსანო მამაო.

კითხვა: ანუ თუ ჭირისა რომლისაგანმე, გინა ძალითა იჯმენა?

მიგება: არა, პატიოსანო მამაო.

კითხვა: დაადგრებია მონასტერსა განუშორებელად, ვიდრე უკანასკნელად აღმომშინგადმდე?

მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა პატიოსანო მამაო.

კითხვა: დაიცავა ქალწულებასა შენსა ყოვლითა გონიერებითა და სასოებითა?

მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

კითხვა: ცხოვრებასა შინა შენსა ვიდრე სიკუდილმდე ჰყოფა მორჩილებასა უფროსისასა, და ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათასა?

მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

კითხვა: დაითმენა ყოველსა ძვირისხილუასა, იწროებასა, ბოროტთა მიერ აღძრულსა მზაკუარებასა სასუფეველისათვის ცათასა?

მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

მღუდელმან ჰსთქუას ჰსწავლავე:

იხილე შვილო, რომელსა აღთქმასა აღუთქუამ მეუფესა ქრისტესსა, რამეთუ ანგელოსნი აქ მდგომარე არიან უხილავად, და აღწერად აღსარებისა ამის შენისა, და ჰნებავსთ მიღებად და დადებად კადნიერებით, მეორედმოსლუასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა. განეშორე შენ სრულიად საწუთოდსა ამის ამოდსა ცხოვრებისაგან მოხსენებითა უფლისათა, მოქალაქობისა მის შეერთებისათვის, და მიახლებითა შემთხუევად ღუთისამიერთა ვედრებითა, განიშორე ყოველნივე სოფლისა ამის ზრახუანი. აჰა, ესერა მოვედ შვილო, მოვედ და ჰმონე უფალსა. და უკეთუ გნებავს მონაზონებად, წესი და განზრახუა მონაზონთა ჰყავ, და ყოვლითავე საქმითა განჰსწმიდე თავი შენი, ყოვლისაგან მწიკუდეგანებისა ხორცთასა და სულისა, რათა საუკუნოდ წმიდად გამოჰსწნდე შიშითა ღუთისათა. ჰქმენ სიმდაბლე, გონიერება,

რათა მკვიდრ იქმნე საუკუნესა მას კეთილსა, უვნებელ იქმნე სოფლისა ამის ჩუეულები-საგან. გაქუსმცა მორჩილება მიუდრეკელი წინაშე ყოველთასა. ურდღვინველმცა ხარ დაწესებულსა მასა მსახურებასა ზედა. ლოცუათა კეთილად მსმენელ, ვიდრე განსრულებადმდე. მღვიძარებასა შინა – ნუ მცონარ. საცთურთა შინა – ნუ სულმოკლე. მარხუასა შინა – ნუ უსასო. გულისხმაჰყავ, რამეთუ მარხვითა, და ლოცვითა შეგიწყნარებს შენ ღმერთი. უძღურებასა შინა – ნუ მრისხანე. კეთილად განმგებელ ბორო-



საბეჭური

ტთა გულისსიტყუათა ზედა. ნუმცა ინებებ შენ მოსხენებად პირველისა ამოღსა ამის სოფლისა გულისთქმათა, არამედ განაგდე მტერისა მიერი იგი საბრხე, და სიძულვილი კეთილისმოქმედისა მოქალაქობისა. აჰა ესერა გისწავიეს და აწცა მნებავეს უწყებად, და ხელისდადებად შენდა, შვილო, უკეთუ ერქუანსა ხელი დასდევ, და იწყე სღუად გზასა მას, რომელსა მიჰყავს მისღუად სასუფეველსა ღუთისასა, ნურღარამცა უკუღმართჰხედავ, რამეთუ არავინ დაჰსდვის ხელი ერქუანსა, სიტყვისაებრ სახარებისა, და უკუღმართჰხედავენ, და წარემართოს ორნატი მისი სასუფეველსა ცათასა. და აწ შვილო, ნურავინ გიყუარან, ნურცა ვის პატივჰსცემ უფროდს ღუთისა, ნუცა მამასა, ნუცა დედასა, ნუცა ძმათა, ნუცა ნათესავთა, „ნუცა სუფეველსა ქუეყანისასა, და ნუცადა თავსა შენსა შეიყუარებ უფროს ღუთისა. იხილე საყუარელო შვილო, ნუცა განსუენება, ნუცა სიჩხოებრივი პატივი შეგიტყუებენ, და ნუცა სიგლახაკესა ევლტი, ნუცა შეურაცხება კაცობრივი, და ნუცა სხუა რაივე, რომელი ძნელგინდეს, იგიმცა ნუ დაგაბრკოლებენ შენ შედგომად ქრისტესა. არამედ მარადის ერთგონებით

და სასოებით იყოფოდე წინაშე ღუთისა ცხოველისა და სახიერისა, და საუკუნოსა მას იგონებდე. რამეთუ მოწამეთა და ღირსთა მრავლითა შრომითა და ოფლითა, მრავლისა სისხლისა დათხევითა და სიკუდილითა თვისითა აღაშენეს სასძლოდ. ეგრეთვე შენცა შრომანი და ღუაწლნი თავს ისხენ, ვითარცა კეთილმან მხედარმან ქრისტესმან, რომელი მდიდრად მოწყალე არს და ჩუენთვის დაჰგლახაკნა, და მჰსგავს ჩუენდა იქმნა, რათა განგუამდიდრნეს სასუფეველსა თვისსა. რამეთუ ჯერ არს ჩუენდა ყოველივე მოხსენებად და თავსდებად, და ქმნად მცნებისა მისისა დღე და ღამე. რამეთუ თვით უფალმან ჰბრძანა: „რომელსა ჰნებავეს უკანა ჩემსა შემოდგომა, უარჰყავნ თავი თვისი, და აღიღენ ჯუარი, და მომდევდინ მე“. რათა განმზადებულ იყუნენ მარადის, ვიდრე სიკუდილმდე ყოველისა მცნებისა მისისა აღსრულებითა. უკეთუ დაითმინო შიმშილი, წყურვილი, შიმლოებანი, ყუედრებანი, ქენჯნანი, ექსორობანი და სხუადცა მრავალი განსაცდელი ღუთისათვის, ცხოვრება შენთვის განმზადების. რაჟამს ესე ყოველი შეგემთხვიოს და კეთილად შეიწყნარო და მოითმინო, მაშინ გიხაროდენ, რამეთუ სასყიდელი შენი ფრი-



სარტყელი

ად არს ცათა შინა, – ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩუენისა, რომელსა ჰშუენის ყოველი დიდება, პატივი, და თავყუანისცემა თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

კითხუა: ვინაითგან ესე ყოველი აღიარე სასოებით ძალითა ღუთისათა და წადიერებით წარემართე, განმზადებულარს ადგილი შეწყნარებად შენდა, უკეთუ დაიმარხო მცნება უფლისა, მადლითა ქრისტესითა.

მიგება: ჰე, ძალითა ღუთისათა, პატიოსანო მამაო.

PANAIOTIS BUMISI

BER-MONOZVNEBI. MATI ADGILI EKLESIIS WIARSI

საერო და სასულიერო წოდებას შორის ეკლესია გამოყოფს ასევე სამონოზენო განწესებას. ბერ-მონოზენები¹ არ არიან არც საერო, არც სასულიერო პირები; მათ გამოარჩევს სასულიერო ხასიათი, მაგრამ არა აქვთ სამღვდელთა თავისებურება და ხელმწიფება (ძალაუფლება). (მონოზონთა ერთი ნაწილი სასულიერო წოდებას ეკუთვნის, ხოლო ნაწილს, ერისკაცთა მსგავსად, არა აქვს ხარისხი – რედ.).

სამონასტრო ცხოვრების იდეალი უცხო არ არის ქრისტიანული მსახურებისათვის. უფალმა მიუგო მდიდარ ჭაბუკს: „წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა, და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა“ (მათე 19,21); და მის მოწაფეებს უთხრა: „არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვისნი სასუფეველისათვის ცათადსა. რომელ შემძლებელ არს დატევნად, დაიტენ“ (მათე 19,21). მსგავსადვე, ქრისტიანული სრულყოფის უმაღლესი საფეხურის მისაღწევად, ეკლესიის მრავალი წევრი, ქრისტიანობის პირველ წლებში იწვრთებოდა ხორციელი თავშეკავებითა და უპოვარებით. საბოლოოდ, ქრისტიანული საზოგადოების წიაღში თანდათან განვითარდა მოღვაწეობისა და ქალწულების ასკეტური იდეალი.

უკვე III საუკუნის დასაწყისშივე ქრისტიანები, უზენაესი სათნოების მისაღწევად, ყველაზე მიზანშეწონილად მიიჩნეოდნენ, ჩამოშორებოდნენ ერს და განმარტოებულები იყვნენ უდაბნოში. ამიტომაც უწოდებდნენ მათ „მეუდაბნოეს“, „განდევნილებს“ (ანახორეტებს). ჩვეულებრივ, ისინი განმარტოებულად ცხოვრობდნენ (რისთვისაც

ეწოდათ მონოზენები²). ზოგი მათგანი მღვიმეებში სახლობდა (ესენი იყვნენ „დაყუდებულნი“), სხვები – სვეტებზე და ამიტომაც მათ „მესვეტეები“ ეწოდებოდათ. მაგრამ მონოზენები, ჩვეულებრივ, მკვიდრობდნენ პატარა სახლებში, ე.წ. სენაკებში (კელიებში). ისინი, ვინც უდაბნოში განმარტოვდნენ, თავიდან უფროს, გამოცდილ, მოღვაწეებთან ერთად ცხოვრობდნენ, რათა მათ სიახლოვეს მიეღოთ სულიერი გამოცდილება. უხუცეს მონოზონს სხვაგვარად კიდევ უწოდებდნენ „აბბას“³. უხუცესის სენაკის ირგვლივ მრავლად შენდებოდა სენაკები მონასტრის წევრების, ახალგაზრდა მონოზენების სამკვიდრებლად.

მეუდაბნოეთა (ანახორეტთა) ცხოვრების მამამთავარი იყო ანტონი დიდი, რომელიც ძირითადად მონოზენების მამამთავრად ითვლება, თუმცა იგი მონოზონთაგან პირველი არ ყოფილა.

IV საუკუნიდან სამონასტრო იდეალმა უდიდესი გამოძახილი ჰპოვა ქრისტიანთა სულებში. განუწყვეტლივ იზრდებოდა მეუდაბნოე მონოზონთა რიცხვი. შესაბამისად, საჭირო გახდა მათი უკეთესი და უფრო სრულყოფილი ორგანიზაცია. ასე ჩამოყალიბდა ზოგადცხოვრებულთა (კინოვიური) მონასტერი. ზოგადცხოვრებულთა წესის სულისჩამდგმელი და ფუძემდებელი იყო ანტონი დიდის მოწაფე, პახუმი. მისი საქმე სრულყო ბასილი დიდმა. მან თავის ცნობილ ნაშრომებში – „სიბრტყივი ცნებები“ და „მოკლედ თქმული სიტყვა“ – საფუძველი ჩაუყარა სამონასტრო ცხოვრების ზოგად ორგანიზაციას.

1. „ბერი“ (ბერძ. γερων, რუს. старец) – სათნოებათა მაღალ საზომს მიღწეული მონოზონი. სულიერი მოძღვრის მნიშვნელობით, „ამბა“ – ეკვივალენტია.

2. ბერძნულად μοναχ- („მონოს“) ნიშნავს „მარტოს“, და მონოზონი „მონოზონ“ (μονοζων) ზუსტად შეესაბამება ქართულ „განდევნილს“, „მარტოდ მყოფს“ (მთარგმნელი).
3. „ამბა“ („ანბა“, „აბბა“) არამეული ძირის სიტყვაა და ნიშნავს „მამას“ (რედ.).

ზოგადცხოვრებულთა წესი – ესაა თანაცხოვრება ერთსა და იმავე მონასტერში, საერთო ღმრთისმსახურებით, საერთო კვებითა და იმ გარკვეული სამუშაოს შესრულებით, რომელსაც აკისრებს თითოეულ მონაზონს წინამძღვართა საბჭო.

XIV საუკუნიდან ჩნდება კერძოცხოვრებულთა (იდიორითმული) მონასტრებიც, ანუ მონაზონთა ნახევრადავტონომიური ცხოვრების წესი ერთსა და იმავე მონასტერში. იდიორითმულ მონასტერში თითოეულ მონაზონს აქვს თავისი საკუთრე-



სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის კრებული. 1890-იანი წლები.

ბა, რომელსაც თავადვე ცალკე განაგებს. მხოლოდ დიდი დღესასწაულების დროს ყველა მონაზონი იზიარებს საერთო საჭმელს (ტაბლას). ცხადია, ყველა ღმრთისმსახურება მთავარ სამონასტრო ეკლესიაში, კათოლიკონში, მიმდინარეობს.

IV მსოფლიო კრების კანონების – მე-4, მე-7, მე-16, მე-17, 23-ე და 24-ეს თანახმად, სამონასტრო მოქალაქეობა მთლიანად განთავსებულია საეკლესიო ორგანიზაციაში, ამასთანავე ადგილობრივ ეპისკოპოსთა უშუალო უფლებამოსილების მორჩილებაში. გამონაკლისი დაშვებულია საპატრიარქო მონასტრებისათვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან უშუალოდ პატრიარქზე, თუნდაც ეს მონასტრები სხ-

ვადასხვა საეპისკოპოსოების ფარგლებში იყვნენ განთავსებულნი. ამ მონასტრებს ეწოდებათ სტავროპიგიული (პირდაპირი თარგმანით – „ჯვრით დაფუძნებულნი“), რადგან პატრიარქი თავისი რწმუნებულის მეშვეობით აღმართავს (აფუძნებს) ჯვარს მონასტრის დაარსების დროს.

წინაპირობები სამონასტრო წოდების მისაღწევად

მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, რომ შეუდგეს სამონასტრო ცხოვრებას. ყველას შეუძლია შეიმოსოს მონაზონური ანუ ანგელოზური სახე („სქემა“), განურჩევლად სქესისა, თანამდებობისა, წარმომავლობისა, ან ფიზიკური ნაკლოვანებისა და დეფექტებისა. სამონასტრო ცხოვრების მისაღწევად შეიძლება გამოვეყნოთ შემდეგი პოზიტიური წინაპირობები:

- 1) მონაზონი უნდა იყოს უქორწინებელი: უცოლო, გაუთხოვარი ან დაქვრივებული, ან კანონიერად განქორწინებული, ან თანხმობა უნდა ჰქონდეს მეუღლისგან.
- 2) უნდა აღემატებოდეს 18 წლის ასაკს, თუმცა შდრ. V-VI მსოფლიო კრების მე-40 კან. და კართაგენის 126.



სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის კრებული 2007წ.

3) მონაზონს გაწონასაწორებელი უნდა ჰქონდეს სულიერი მდგომარეობა, რათა სრული შეგნებით ეკიდებოდეს თავის საქმეებს.

4) სამონასტრო ცხოვრებისათვის არჩე-
ვანი უნდა ხდებოდეს თავისუფლად, ანუ
შიშის, ძალდატანებისა თუ მოტყუების
გარეშე. ამავე მიზანს ემსახურება სამგ-
ზისი აღმსარებლობითი აღთქმა აღკვეცის
(ქიროთესიის) დროს.

5) მონასტერს უნდა ჰქონდეს თავისუ-
ფალი ადგილი, სადაც მოთავსდება შესა-
ბამისი კანდიდატურა.

6) მორჩილების ვადა სამი წლითაა
განსაზღვრული. მაგრამ, შემთხვევისდა
შესაბამისად, იგი შეიძლება შემცირდეს
(მაგ. საღმრთისმეტყველო სემინარიის,
ან უმაღლესი საღმრთისმეტყველო სას-
წავლებლის სტუდენტებისათვის); ან –
გაიზარდოს (მაგ. არასრულწლოვნებისათ-
ვის). მორჩილება ითვალისწინებს კანდი-
დატურის გულახდილობის დასტურს და
იმ დანაპირებისადმი ერთგულების უნარს,
რომლებიც აღთქმად უნდა გაიხადოს მო-
ნოზონმა.

7) სამონოზენო კანდიდატურამ თავს
უნდა იღვას აღთქმა, რომელიც იღე-
ბა აღკვეცის დროს. ამით სამონოზენე
აღთქმით აღიარებს პირობას, რომ მთელი
თავისი ცხოვრების მანძილზე დაიცავს
ქალწულებას, უპოვარებას, მორჩილებას.
სამონოზენეს შეგნებული უნდა ჰქონდეს,
რომ წინამძღვრისა და საძმოს ნება უნდა
ეთანხმებოდეს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას.

8) აღკვეცა – ესაა საეკლესიო რიტუ-
ალი, რომლის დროსაც ეპისკოპოსი (ან
წინამძღვარი) ჯვრის სახით მოკვეცავს
თავზე ცოტაოდენ თმას სამონასტრო ცხო-
ვრებისათვის წარდგენილ პირს.

9) აღკვეცის რიტუალს ადასრულებს
ეპისკოპოსი, რომელიც უფლებამოსილებით
განაგებს შესაბამის მონასტერს. თუმცა,
განმგებელი ეპისკოპოსის ნებართვით, იგი
შეიძლება ადასრულოს სხვა ეპისკოპოსმა,
ასევე – წინამძღვარმა, თუკი იგი არქიმან-
დრიტია.

10) ადგილი, სადაც აღესრულება სამო-
ნოზენო აღკვეცის რიტუალი და სადაც

დამკვიდრდება მონოზონი – კანონიკურად
არის მონასტერი (ე.წ. სინანულის მეტანი-
ის, სავანე).

აღკვეცის (დადგინების, ქიროთესიის) შედეგები

1) აღკვეცილი მონოზონი ხდება საძმოს
რიგითი და კანონიკური წევრი. მას შეუ-
ძლია მიიღოს მონაწილეობა მონასტრის
განმგებლობაში – როგორც არჩევნების
კანდიდატურამ და როგორც ამომრჩეველ-
მაც.

2) მონოზონი ითვლება, როგორც წუთ-
ისოფლისთვის მკვდარი და ღვთისათვის
შეწირული. მისთვის იწყება ახალი ცხო-
ვრება. ამას ცხადყოფს აღკვეცით მინი-
ჭებული ახალი სახელიც, ასევე – ახალი
სამოსელიც, რასაც ეწოდება მონოზენური
(სამონოზენო) ანუ ანგელოზური სახე
(„სქემა“).

3) მონოზონი არ იღებს საერო, სამხ-
ედრო ან პოლიტიკურ საზრუნავს; არ
მონაწილეობს საერო მართვა-განმგე-
ბლობაში (შდრ. IV მსოფლ. კრების მე-4
კან. და სხვ.).

4) ხუცესმონოზონი (მღვდელმონოზონი)
ვერ აკურთხევს ქორწინებას, ეპისკოპოსის
ნებართვის გარეშე.

5) მონოზონი ვერ იქნება მეჯვარე ქორ-
წინებისას და მიმრქმელი ნათლისღების
დროს. ვერ გასწევს ვერც მეურვეობას,
ვერც სხვებისათვის თავდებობას.


6) წინამძღვრის ნებართვის გარეშე, მო-
ნოზონი არ გამოდის მონასტრიდან. გასვ-
ლა დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუკი მონასტერში ყოფნა სარწმუნოებრი-
ვი თუ ზნეობრივი მოსაზრებით, მონოზ-
ენისთვის მავნე შეიძლება გამოდგეს.

7) მონოზონი არ გადაინაცვლებს თავის
მონასტრიდან სხვა მონასტერში. გადასვ-
ლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუკი მას დანიშნავენ სხვა მონასტრის
წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებ-
ლად ან რაიმე საგანგებო შემთხვევაში,
ეპისკოპოსის (ან ეპისკოპოსთა) და ორი

მონასტრის წინამძღვართა თანხმობის საფუძველზე.

8) მონოზენად კურთხევა უცვლელია და ვრცელდება მონოზენის მთელი სიცოცხლის მანძილზე. მას აქვს წარუხოცველი ხასიათი. აღნიშნული მიზეზების გამო, მონოზენის განკვეთა არ მოიაზრება.

9) ამავე მიზეზით, აღკვეცა არ მეორდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი აღკვეცა თავდაპირველად არაკანონიკურად შესრულდა.



რუს-უბნისის ეპარქიის მონოზონთა კრებული

10) მონოზონმა შეიძლება კანონიკურად მიიღოს დიდი სქემა, მცირე სქემაში მისი დადგინებიდან (ქროთესიიდან) 30 წლის შემდეგ, კანონიერების ასპექტით, (ეკლესიური წესით) დიდი, თუ მცირე სქემა არ განსხვავდება. მაგულობს მხოლოდ ღვაწლი – კანონების რაოდენობა.

11) მონოზონს არ შეუძლია ქორწინებით შეუღლება.

12) მონოზონი არ განაგებს საკუთრებას. მას აღკვეცამდე შეუძლია განაწესოს თავისი საკუთრება, სადაც და როგორც სურს; ხოლო იმას, რაც მას შეწირული აქვს მონასტრისათვის, უკან ვეღარ წამოიღებს,

თუნდ მონასტრიდანაც რომ წავიდეს.

13) სამონასტრო ცხოვრების ღირსება. დასასრულ, სამონასტრო ცხოვრების ღირსებისათვის შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: მონოზენობა იყო და არის მნიშვნელოვანი სულიერი ძალა ეკლესიის და საზოგადოებისათვის. მონასტრები დიდი საეკლესიო მოღვაწეების აღზრდისა და მომზადების ცენტრები იყვნენ: მწიგნობრობის, ხელოვნების და კულტურის, ჰუმანური დახმარების, სოციალური უზრუნველყოფის ფილანთროპიული ცენტრები.

ბევრს მიაჩნია, რომ ბერ-მონოზენობამ მწვერვალს მიაღწია სახელმწიფოთა პოლიტიკური დაკნინების ხანებში და შესაბამისად, იგი დეგრადაციის ფენომენს წარმოადგენს. სინამდვილეში, პირიქით, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მონოზენობა იყო თავისი ეპოქის სულიერი კულტურის დაკნინების მიმართ გამოსატყუი პროტესტი.

საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი ახლაც მოწოდების სიმაღლეზეა, შესაბამისი პოზიციით, ძალითა და ბრწყინვალებით. მართლმადიდებლურმა მონოზენობამ უდიდესი წვლილი შეიტანა მწვალებელთა და ეკლესიის მტრებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდია მისი წვლილი ქრისტიანული ქადაგების, ევანგელიზაცია-მისიის საქმეში და საერთოდ, ეკლესიისა და ერის ცხოვრებაში, როგორც ერის კულტურული აღმავლობის პერიოდში, ასევე, მისი დაკნინების მძიმე ხანაშიც.

„კანონიკური სამართალი“
თბილისი 2007წ.

MONOZVNAD ARKVECA

MCXETIS SAMTAVROS WMIDA NINOS DEDATA MONASTERSI

„მინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ მონოზვნობა სულიერი გმირობაა და უდიდესი მსხვერპლი, ადამიანის მიერ გაღებული ღვთისა და ერისათვის. თუ ჩვენს ისტორიას გადავხედავთ, ერთხელ კიდევ დავრწმუნდებით, რომ ჩვენი მონასტრები და იქ მოღვაწე ბერ-მონოზვნები სულიერი ბურჯები იყვნენ მშობელი ერისა და ქვეყნისა. მათი მრავალრიცხოვნება და სიძლიერე ჩვენი ხალხის გამრავლებისა და სიძლიერის მაუწყებელიც იყო. ვეცადოთ, რომ ჩვენმა ერმა დაიბრუნოს დაკარგული სულიერი სიმადლე და წინაპართა მსგავსი სიყვარულითა და ერთგულებით ემსახუროს ღმერთს.

ღმერთი იყოს მთელი საქართველოსა და თქვენი შემწე და მფარველი. ამინ!“

უწმიდესი და უნეტარესი ილია II



სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში ა. წ. 11 ივლისს მონოზვნად კურთხევის წესი აღასრულა მონასტრის მოძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე). მონოზვნად აღიკვეცნენ: მონოზონი შუშანიკი (ნინო ბერძნიშვილი), მონოზონი ბარბარე (შორენა იაკობაძე), მონოზონი სერაფიმა (თინათინ მეტრეველი), მონოზონი მატრონა (რუჟენკა როსტიაშვილი), მონოზონი პელაგია (ლიზა ხუბაშვილი).

BER-MONOZONTA ROLI BOLO JAMS

(საუბარი ათონის წმიდა მთის წმიდა გრიგოლის მონასტრის
წინამძღვარ გიორგი კაფსანთან)

კითხვა: ქრისტიანთა უმეტესობა ელოდება წმიდა მთისა და ბერ-მონაზონთა მოწმობას, რომელსაც მიიღებს სიხარულით და მადლიერებით. თუმცა არსებობს ქრისტიანთა მცირე ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ მთაწმიდელები და საერთოდ, ბერმონოზენები მხოლოდ ლოცვით უნდა იყვნენ დაკავებული და არა სარწმუნოებრივი თემებით. იქნებ ისინი მართალი არიან?

პასუხი: რა თქმა უნდა, ბერმონოზენების მთავარი საქმე ლოცვაა. როდესაც სარწმუნოებას საფრთხე არ ემუქრება, ბერმონოზენებს არა აქვთ მიზეზი, ჩაერიონ ეკლესიურ საკითხებში, ვინაიდან თავად წარმოადგენენ ეკლესიის მმართველობას. მაგრამ თუკი სარწმუნოება საფრთხეშია, მაშინ ბერმონოზონთაგან ყველაზე განსწავლულნი, მონაზონთა შორის, ნდობით აღჭურვილნი რომელთაც დანარჩენების სწორი წინამძღვრობის პასუხისმგებლობა აქვთ (როგორც სულიერ ცხოვრებაში, ასევე ღვთისმოსაობის დოგმატებში), ვალდებული არიან, იქადაგონ; არა იმიტომ, რომ ასწავლონ ეკლესიას, არამედ იმიტომ, რომ აღიარონ თავიანთი სარწმუნოება, თანახმად უფლის მცნებისა: „ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“ (მათ. 10,32.). ქრისტეს აღმსარებლობა სამსახურებრივი საქმე არ არის, არამედ – ცხოვრების გამოხატულებაა. უფრო ზუსტად კი ეს არის, ქრისტეს ცხოვრებაში თანამონაწილეობის გამოხატულება. ქრისტე არ ამბობს: „რომელმან მაღიაროს მე“, არამედ – „რომელმან აღიაროს ჩემდამო“. ამრიგად, ქრისტეს აღმსარებლობა ქრისტ-



თავისკვეთა იოანე ნათლისმცემელისა (XIX ს.)
სამთავროს დედათა მონასტრის ხატი.

ესთან ზიარების ან ქრისტესმიერი ცხოვრების გამოხატულებაა. ქრისტეს აღმსარებლობა ქრისტესმიერი ცხოვრების ბუნებრივი შედეგია. ბერმონოზენები კი ცხოვრობენ ქრისტეში, აღიარებენ და ასე ასწავლიან ქრისტიანებს. ამას აკეთებენ სიმდაბლით, არა იმიტომ, რომ ასწავლონ, არამედ იმიტომ, რომ აღიარონ. ეს არის ისტორიულად გამართლებული გარდამოცემა მართლმადიდებელ და წმიდა მთის მონოზენობაში.

დღეს (21 იანვარს) წმიდა მთაზე ვდღესასწაულობთ ორი წმიდა ბერის – მოძღვარისა და აღმსარებელის ხსენებას. ესენი არიან: წმიდა მაქსიმე აღმსარებელი (მე-7 ს.) და რუსეთის განმანათლებელი, ათონელი წმიდანი მაქსიმე გრეკი.

რა იქნებოდა მართლმადიდებელი აღმოსავლეთი და მსოფლიო წმიდა მაცხიმი აღმსარებლის სწავლებისა და აღმსარებლობის გარეშე? ან რა იქნებოდა მართლმადიდებელი რუსეთი წმიდა მაცხიმი გრეკის აღმსარებლობისა და სწავლების გარეშე?

განა ამ მიმართულებით არ მოქმედებდა ყველა წმიდა მთაწმიდელი, რომელთა შორისაც იყვნენ წმიდა გრიგოლ პალამა და ლათინთა მამხილებელი მთაწმიდელები, რომლებიც მათგანვე მოწყდნენ? ანდა – წმიდა ნიკოდიმოს მთაწმიდელი, წმიდა კოზმა ეტოლელი და მრავალი სხვა?!

მათ და ყველა სხვა მოწამეთა და აღმსარებელთა ცხოვრებასა და საქმეებს ვკითხულობთ ყოველდღე წმიდა მთაწმ. ნუთუ შეგვიძლია სმენა დავისშოთ და არ შევისმინოთ მათი? შეგვიძლია რომ მათ საწინააღმდეგოდ ვთქვათ და ვირწმუნოთ რაიმე მაშინ, როცა ეს ყოველივე მართლმადიდებლური გარდამოცემის განცხადებას წარმოადგენს? აღმსარებელი წმიდა მამებისადმი ასეთი დამოკიდებულება, ჩვენი მხრიდან, ალბათ, სულიერ აშლილობის უნდა ნიშნავდეს.

კითხვა: თუმცა გარდამოცემათა ამგვარი დაცვა დღეს შეიძლება უკიდურეს სიჯიუტედ ან წარსულის გამოძახილად მიიჩნიონ.

პასუხი: ქრისტე არის „გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე“. და ხსნა, რომელსაც გვთავაზობს ქრისტეს ეკლესია, უცვლელია საუკუნეების მანძილზე. ჩვენი, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანების სინდისი ისე ყალიბდება, როგორც გვისწავლია ღვთისმოსავი მშობლების, სულიერი მამების, წმიდა მოციქულთა, მამათა, მოწამეთა, აღმსარებელთა, ღირსთა დეაწლის მაგალითზე.

თუ გვწამს, რომ რაც მივიღეთ და ვისწავლეთ, არის სწორი და ღვთისთვის

სათნო, მაშინ უნდა გვქონდეს გამბედაობა ამის აღმსარებლობისა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამას გარკვეული საფრთხე და ჩვენი საქციელის ცუდი შეფასება მოსდევს. ქრისტიანებსა და ბერმონოზვნებს არ შეეფერებათ, სარწმუნოებისა და თეოლოგიის, რაიმე პოლიტიკისა თუ რაიმე განზრახვისათვის დაქვემდებარება.

ჩვენთვის ყოველთვის ძალაშია უფლის სიტყვა: „ჰსცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგანთავისუფლნეს თქვენ“ (იოან. 8,32). ჩვენ მოვალენი ვართ ჭეშმარიტებისა და სიყვარულის მოციქულის პავლეს სიტყვისამებრ: „ჭეშმარიტ-ვიყუნეთ სიყვარულსა ზედა“ (ეფეს. 4,15), ე. ი. კადნიერებით და გულისხმისყოფით.

ჩვენი ვალია, რომ ჭეშმარიტი სიყვარული გვქონდეს, და ეს გვაავალდებულებს ყველა ჩვენი ძმის წინაშე და განსაკუთრებით იმათ წინაშე, ვინც წმიდა მართლმადიდებლური გარდამოცემის გაყიდვის, ცრუსწავლებებისა და აღრევის ეპოქაში – წუხილსა და შფოთვას მოუცავს და ჩვენგან სანუგეშო და მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში დასაყრდენ სიტყვას ეძებს.

მადლობელი ვარ, რომ მომეცა საშუალება ღვთის შიშით და სასოებით, ჩამომეყალიბებინა თეზისები, რომელსაც ეთანხმება მთაწმიდელი მამების უმეტესობა. ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული გვაავალდებულებს, რომ ჩვენს ძმებს, მართლმადიდებლური გარდამოცემის უგულვებელყოფით და ცრუსწავლებათა მომრავლებით, მწუხარებით და შფოთვით მოცულებს, ნუგეში ვცეთ და მართლმადიდებელ სარწმუნოებაში განსამტკიცებელი სიტყვით დავაპუროთ.

„ეკუმენიზმი და ეკუმენური მართლმადიდებლობა“
ითარგმნა ახალი შუამთის
დედათა მონასტერში 2001წ.

RIRSI TEODOSI PECORELI (†1074)



ღირსნი: ანტონი და თეოდოსი პეჩორელები

ღირსი თეოდოსი პეჩორელი XI საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი რუსეთში საბერ-მონოზენო ცხოვრების ერთ-ერთი ფუძემდებელია. წმიდა თეოდოსი წმიდა ანტონ პეჩორელის მოწაფე იყო და შემდგომ მასთან ერთად იღვწოდა რუსეთში სამონოზენო ცხოვრების ასაღორძინებლად. მან პირველმა შემოიღო რუსეთში საბერ-მონოზენო ცხოვრების ზოგადცხოვრებულთა წეს-განგება, რომელიც კონსტანტინეპოლის ეკლესიისაგან გადმოიღო.

წმიდა თეოდოსი 23 წლის ასაკში აღიკვეცა ბერად. იგი იღუმენის ხარისხშიც უბრალოებით და ძმათმოყვარებით გამოირჩეოდა. მონასტრის ძმებს ისე ემსახურებოდა, როგორც რიგითი მორჩილთაგანი. ღირსი მამა დიდებულთა, აღმატებულთა და წარჩინებულთა უშიშრად მამხილებელი იყო. მას აღსასრულის მოახლოება წინასწარ ეუწყა და გარდაცვალების შემდგომ, მის მიერ გამოთხრილ გამოქვაბულში დაკრძალეს.

1091 წელს, წმიდანის საფლავი გათხარეს და მისი უხრწნელი ნაწილები ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში გადაასვენეს. 1108 წელს ღირსი თეოდოსი წმიდანად შერაცხეს (ხსენება 3 მაისი, 14,

28 აგვისტო). ჩვენამდე მოაღწია მისმა სწავლებამ, ლოცვამ და ორმა ეპისტოლეებმ, რომელიც მან კიევის დიდ მთავარ იაროსლავს მისწერა.

P.S. „ანდერძის“ თარგმანი დაიბეჭდა 1989 წელს, კერძო გამოცემაში. ამჟამად ვაჭყეყნებთ რედაქტირებულ ტექსტს.

მთარგმნელი

ANDERZI

კიევის დიდი თავადისადმი და ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთადმი

უფალო, გვაკურთხენ!

სიტყვა მაქვს შენთან, ღვთისმოყვარეო თავადო!

მე, უღირსი თეოდოსი, მონა წმიდისა სამებისა, მამისა, ძისა და წმიდისა სულისა, წმიდა და მართლმადიდებლური რწმენით ვშობილვარ და მართლმადიდებელ დედის კეთილმოძღვრებით აღვზრდილვარ.

ეკრძაღუ, შვილო მწვალებლებს და მათთან ყოველგვარ საუბარს. ლათინთა

(კათოლიკურ) სარწმუნოებას ნუ თანაუზიარები მათ წეს-ჩვეულებას. ივლტოდი მათი ზიარებისაგან და სწავლა-მოძღვრებისაგან, მათეული ზნე-ჩვეულება სათაკილოდ მიგაჩნდეს, რამეთუ აღივსო ქვეყანა ჩვენი მწვალებელთაგან.

თუ ვინმე ცხონდება – მხოლოდ მართლმადიდებელი სარწმუნოებით, რამეთუ არ არსებობს სხვა უადრესი სარწმუნოება, თვინიერ ჩვენი, ჭეშმარიტი, წმიდა მართლ-

მადიდებლური სარწმუნოებისა, რომელიც არა ოდენ გიხსნის ცოდვათაგან და მარადიულ სატანჯველთაგან, არამედ – საუკუნო ცხოვრებასაც ზიარგყოფს და იხარებ მარად წმიდათა თანა. ხოლო ცხონება სხვა სარწმუნოებით არ იქნება. არც ქება გმართებს, შვილო, უცხო აღმსარებლობისა, რამეთუ სხვათა სჯულის ქება-შეწყნარება საკუთარი სჯულის გამობას გულისხმობს; და თუ ვინმე ერთბამად თაყვანსა სცემს თავისსა და სხვათა სჯულს, მაშინ ის ორგულია და ახლოსაა მწვალებლობასთან.

ეკრძაღე, შვილო, უსჯულოთ, და მტკიცედ ეგე შენს რწმენაზე; ნუ ეძმობი მწვალებელთა და უსჯულოთ, არამედ განემორე მათ და სათნო საქმეებით იღვაწე შენს სარწმუნოებაში.

კეთილი უყავ ერთმორწმუნეთა და უსჯულოთაც; და თუ ვინმე მშიერი, შიშველი ანუ გაჭირვებული იხილო, ძალისაებრ შეეწიე ყოველს და იხსენ განსაცდელთაგან, ებრაელი იქნება იგი, თურქი თუ ლათინი. ხოლო შენ არასადა მოგაკლდება წყალობა ღვთისა, რამეთუ უფალი ამქვეყნად წყალობას ჰყვენს ქრისტიანთა და ურწმუნოთა ზედა.

ღმერთი ამქვეყნად ზრუნავს ურწმუნოებზე, მაგრამ მომავალში იხინი მოაკლდებიან საუკუნო ნეტარებას. ხოლო ჩვენ, წმიდა მართლმადიდებელი სარწმუნოებით მცხოვრებთ, უფალი და მეუფე ჩვენი იესო ქრისტე მოგვანიჭებს მადლს ამქვეყნად და საიქიოსაც გვაცხოვნებს.

შვილო ჩემო, წმიდა სარწმუნოებისათვის სიკვდილიც რომ გეწიოს, მხნედ შეეგებე მას. წმინდანებიც ამგვარად ეწირებოდნენ რწმენას, და აწ ცხოველ არიან ქრისტეში.

თუ უსჯულოთაგანი ვინმე ნახო, მართლმადიდებელს ეცილებოდეს და მართლმადიდებელი ეკლესიიდან მის განმორებას ეშურებოდეს – შეეწიე, შვილო მართლმადიდებელს. ამით შენ ღვთის სახიდან გამოიხსნი ცხვარს. და თუ წაუყრუებ და ერთმორწმუნეს არ შეეწივი, ეს იგივეა – ქრისტესთვის წარგეტაცოს გამოსყიდული სული და ეშმაკისათვის მიგყვიდოს.

უკეთუ ვინმე წინააღმდეგობი გეტყვის: თქვენი და ჩვენი სჯული ორივე ღვთითააო, ამგვარად უპასუხე მას, შვილო: „ – ბოროტმორწმუნეო! და ნუთუ შენ ღმერთიც ორგული გგონია?! არ უწიე განა, ვითარ იტყვის წმიდა წერილი: „ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოებად, ერთ ნათლისღებად!“ (ეფეს. 4,5).

შვილო ჩემო, ამოდენა ხანს იმარხავდი ჭეშმარიტ სამოციქულო სჯულს, ხოლო აწ, ეშმაკის ცდუნებით, ბოროტმორწმუნობაზე მიქცეულხარ. ნუთუ, არც პავლე მოციქულის მოძღვრება გსმენია: „არამედ, დაღაცათუ ჩვენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით, გახარებდეს თქვენ, გარეშე მისსა, რომელი იგი გახარე თქვენ, შეჩვენებულ იყავნ.“ (გალ. 1,8).

თქვენ გარდახვედით სამოციქულო მოძღვრებას და წმიდა მამათაგან დადგენილს; ყოვლითურთ დამღუპველი, მცდარი და უზნეო სჯული შეიწყნარეთ და ამისათვის უარგყავით ჩვენც. მკვდრები ხართ თქვენ და მკვდარ მსხვერპლსა სწირავთ, ხოლო ჩვენ ცხოველ ღმერთს ცოცხალ მსხვერპლს ვსწირავთ, წმიდას და უხრწნელს – რათა საუკუნო ცხოვრება ვპოოთ ღმერთისა ჩვენისა იესო ქრისტესა თანა, რომელსა შვენის პატივი და ღიდება. ამინ.

თარგმნა
მარიამ (მარინე) ნიაურმა

CAUQROBELI LOCVIS LAMPARI

„მონასტერში რომ მიხვალ, ნურავის შეხედავ, გამოსწორება შენი თავიდან დაიწყე“.

(კათოლიკოს პატრიარქი ილია II)



კათოლიკოს-პატრიარქები: უწმიდესი და უნეტარესი ილია II და ეფრემი II, ილუმენია ქეთევანი (გოგნლაძე), ილუმენია ზოილე (დვალისვილი), მონოზონი ევპრაქსია (ჩარკვიანი), მონოზონი მარიაში (გიუნაშვილი)

დგანან: ილუმენია ანა (აჭაიძე), მონოზონი ანა (ასათიანი), მონოზონი პარასკევა (უგრეხელიძე), მონოზონი ეფემია (ხიზანიშვილი), დიდსქემონოზონი სუსანა (უროტაძე).

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში 80-იან წლებში მოვედი, მაშინ აქ ხანდაზმული დედები მოღვაწეობდნენ: ილუმენია ანა (აჭაიძე), მონოზონი ეფემია (ხიზანიშვილი), მონოზონი რაქილი (შემდეგში დიდსქემოსანი სუსანა, ჯვროსანი), სამონოზონო ლიზა (მონოზონი ნინო ქოქიაშვილი), სამონოზონო ეკატერინე (მონოზონი ევპრაქსია ხუბაშვილი), სამონოზონო ალექსანდრა (შემდგომ დიდსქემოსანი სიდონია დავითაშვილი), სამონოზონო შურა (მონოზონი სალომე გოცირიძე); მონოზონი ქრისტინე (ლეილა მაისაშვილი) და მათთან ერთად იყო ორიოდ ახალგაზრდა, რომელთაგან ერთი, მორჩილი მარინე (მარიამ ნიაური), ამჟამად ჟურნალ „მაყვლოვანის“ რედაქტორია. იგი მამა

გაბრიელმა აკურთხა მორჩილად შედაზენზე.

პირველი, რითაც დედათა კრებული გამოირჩეოდა, იყო უბრალობა, რასაც სქემმონოზონი სუსანა (უროტაძე) ხშირად ხაზგასმით აღნიშნავდა: „უბრალონი უნდა იყოს, რადგან უბრალონი უყვარს ღმერთს“. დედები ზოგადცხოვრებულთა მკაცრი სამონასტრო ტიპიკონით ცხოვრობდნენ: ერთად ლოცულობდნენ, ერთად ტრაპეზობდნენ, ხელსაქმობდნენ (ქსოვდნენ სკვნილებს, კერავდნენ, ტაძარსა და მის შემოგარენს უვლიდნენ); ღამეებს ლოცვაში ათენებდნენ; ლოცვის ათონურ ანუ ძველქართულ ტიპიკონს სრულად აღასრულებდნენ; მკაცრად მარხულობდნენ; დიდმარხვის პირველ კვირას მხოლოდ ერთ ნაჭერ პურს და ჩირის სუპს იხმევდნენ დღეში

ერთხელ; მძიმე მარხვას უზეთოდ იცავდნენ.

ილუმენია ანასგან მსმენია, რომ დედებს სასაუბროდ არ ეცალათ. ისინი ერთმანეთს ლოცვისას და ტრაპეზის დროს ხვდებოდნენ. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა და ასაკობრივი უძლურებისა, დედები ლოცვას ყოველდღიურად ადავლენდნენ. ვერავინ გაბედავდა ლოცვის გაცდენას. ულოცველად სტუმარსაც არ ტოვებდნენ: „დასაძინებლად მოხვედითო“?! – ეტყოდნენ მათ. მონასტრის წესისამებრ, მონოზონები ძირითადად ლოცვითი ღვაწლით იყვნენ დაკავებულნი. განსაკუთრებულ შემთხვევაში სალოცავებსაც მოილოცავდნენ. უმეტესად – მცხეთის სალოცავებს: წმი-

და დიმიტრი თესალონიკელის, წმიდა შიო მღვიმელის, წმიდა გიორგის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, არმაზის, ავჭალის იოანე ნათლისმცემლის მონასტერს და სხვა. მათთან ერთად მრავალი სალოცავი მომილოცავს. მახსოვს, ქუთაისში, წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის საფლავზე დედა სუსანამ წირვა დააყენებინა და აღნიშნა:



„მაყვლოვანი“ 1986 წ.

მეუფე ზოსიმე, მეუფე დანიელი, ბერძენი სტუმარი, მარცხნიდან: დიდსქემოსანი სიდონია, მორჩილი მარინე; იღუმენია ქეთევანი, მონოზონი ევბრაქსია, მარჯვნივ: მონოზონი სალომე, მონოზონი ნინო, მონოზონი მარტა, დიდსქემოსანი სუსანა, დიდსქემოსანი იღუმენია იოანა.

„წმიდა დავით აღმაშენებელი კანონმდებელია და განაჩენი გამოაქვსო“.

80-იან წლებში მონასტრის წინამძღვარი იყო იღუმენია ანა (დარო აჭაიძე), რომლის ხელშიც, უწმიდეს ილია II-ის ნათლიასთან, იღუმენია ზოილესთან ერთად, გაიარა უწმიდესისა და უნეტარესის ბავშვობისა და ყრმობის წლებმა. მახსოვს, ერთხელ პატრიარქმა სარეცელს მიჯაჭვული იღუმენია ანა მოინახულა, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე და დიდხანს სიყვარულით ისაუბრა მის ღვაწლსა და ღირსებებზე: „დედა ანამ ტიპიკონი ზეპირად იცოდა, გალობდა, ბევრს ლოცულობდა

და შრომობდა, საბნებს კერავდა, ძროხებს უვლიდა, სკვნილებს, წინდებს ქსოვდა...“ დედა იღუმენია საწოლზე წამომჯდარი თავდადრეკილი უსმენდა, ბოლოს, ისე, რომ თავი არ აუწევია, ჩურჩულით, ხმადაბლა აღმოთქვა: „თქვენო უწმიდესობავ, მე მართლა არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ხომ ვეგდე მონასტერში, იქნებ ამით შემიწყალოსო ღმერთმა“. იღუმენიას ჭეშმარიტმა თავმდაბლობამ შემძრა. უწმიდესმა იქვე მღვთმი სამონოზონეც დამოძღვრა, რომელსაც მეტად უჭირდა მორჩილება წინამძღვრისა. კადნიერად განიკითხავდა თავმდაბალ იღუმენიას. მისმა უწმიდესობამ მას მოკლედ და მარტივად განუმარტა მორჩილების არსი: „იცო რა არის მორჩილება? როცა გეუბნებიან კერე, უნდა კერო; გეუბნებიან რეცხე, უნდა რეცხო – ეს არის მორჩილება“. და ურჩია, უსიტყვოდ დამორჩილებოდა დედა იღუმენიას კურთხევებს. გამომშვიდობებისას უწმიდესი დედა ანას საწოლთან მიბრძანდა, იღუმენიას წინ დაიხოქა და სთხოვა: „დედა ანა, მაკურთხე, ჯვარი გადამსახეო“. „– მე როგორ გადაგსახო ჯვარი, პატრიარქი ბრძანდებითო,“ – თავდადრეკით და მორიდებით იუარა დედა ანამ; მაგრამ მისი უწმიდესობის დაჟინებულ თხოვნაზე, დედა იღუმენიამ მორჩილებით სამი თითი შუბლზე მიადო და ათრთოლებული ხელით სამჯერ გადასახა ჯვარი პატრიარქს სიტყვებით: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ!“ უწმიდესმა უზარმაზარი ბურთულებიანი სკვნილი აჩუქა იღუმენიას, თავისი ხელით დაუკიდა საწოლის თავთან (დედა ანას გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მონასტერში მივედი, ის სკვნილი აღარ დამხვედრია).

პატრიარქის სტუმრობიდან სულ ცოტა ხანში იღუმენია ანა გარდაიცვალა. მიცვალებული ტაძარში გადასვენებამდე მონასტრის სამლოცველოში ესვენა. მისმა უწმიდესობამ პანაშვიდი გადაიხადა და მოულოდნელად მიცვალებულს სახეზე გადაფარებული ლეჩაქი ახადა – საოცარმა შუქმა ამოანათა. დედა ანას თეთრ სახეზე ნაოჭები სრულიად გამქრალიყო,

სადა იყო ტკივილიანი, ტანჯული სახე? მაშინ პირველად გავიფიქრე, რა კარგი ყოფილა მონოზონის გარდაცვალება-მეთქი. უწმიდესმა ხმამაღლა წარმოსთქვა: „დედა ანა ცხონდა“. იღუმენია ანამ მონასტერში 70 წელი დაჰყო. იმ პერიოდში მისი მოძღვარი იყო არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე).

სამთავროში სტუმრობისას ერთი-ორჯერ მოვინახულე უხუცესი მონოზონი დედა ეფემია (ხიზანიშვილი). მან მიაძბო: „70 მონოზონს მოვესწარი, რომლებიც კიბეს ისე მღუმარედ, ჩუმად ჩაივლიდნენ, გვერდზე არ მიიხედავდნენო“. დედა ეფემია ლოვინად იყო ჩავარდნილი და მხოლოდ ნაკურთხ წყალსა და სევისკვერს იღებდა. იგი 96 წლისა გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე რამოდენიმე დღით ადრე, გამომშვიდობებისას, შემევედრა, უწმიდესისაგან ცოდვების შენდობა გამომეთხოვა მისთვის; დანაბარები იმ დღესვე გადავეცი უწმიდესს და რომ მოისმინა, ფეხზე წამოვდგა, ჰაერში დიდი ჯვარი გამოსახა და გულისხმიერად დალოცა: „ღმერთმა შეუნდოს ცოდვებით“. ეს ამბავი იმ დღესვე გადასცეს დედა ეფემიას (მაშინვე უკითხავს ჩემი სახელი და სკვნილზე დაუწყია ჩემთვის ლოცვა). იქ მყოფთათვის სამი

თითით უნიშნებია რაღაც და მართლაც – სამ დღეში გარდაცვლილა. ეს ამბავი, იმ ხანად მონასტერში მცხოვრებმა გულნაზმა მიაძბო, რომელიც დიდად შეეწეოდა სწეულ დედებს, განსაკუთრებით – დედა ანას. იგი ძალიან უყვარდათ ძველ დედებს, თავდაუზოგავი ფიზიკური შრომისათვის.

ძველი თაობის დედათაგან თანაცხოვრების საკმაო დრო განვულე დიდსქემოსან დედა სუსანასთან. იგი დაუცხრომელი მლოცველი და მმარხველი იყო და ამასთანავე, ცოტა ფიცხი ხასიათისა, როგორც დედა იღუმენია ანა აღნიშნავდა: „გული კეთილი აქვს, რა ქნას, ურემს რომ ტვირთი დააწვება, ჭრიალს იწყებსო“. ერთხელ, კო-

მუნისტების პერიოდში, როდესაც დედებს მონასტრიდან გადაყვანა დაუპირეს, დედა სუსანას წმიდა ნინოს გობელენის ხატთან დაუწოქია და მხურვალედ ულოცია. ხატს მისთვის უნიშნებია და გულისხმის-ყოფა მიუცია, რომ ისინი მონასტერში დარჩებოდნენ და არსად არ გადაიყვანდნენ. ოთხმოც წელს გადაცილებული დედა სუსანა მონასტრის ლოცვაზე უგულისხმოდ მდგომარეთ, მკაცრად შენიშნავდა: „რამ დაგასიკვდილათ, გაიღვიძეთო“ და „დიდება მაღალიანს“ ხმამაღლა დასტექდა ჩვენს გამოსაფხიზლებლად. დედა სუსანას სპეციალური, ხავერდის მოგრძო ხელჩანთა ჰქონდა, სავსე მოსახსენიებლებით და



არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე), მღვდელი ალექსანდრე (თანდილაშვილი), იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი) და მორჩილი მარინე (ნიაური)

ყოველ წირვა-ლოცვაზე და პანაშვიდებზე ახსენიებინებდა თავის და სხვების ცოცხლებსა და მიცვალებულებს.

უწმიდესისაგან გამიგონია, სამთავროში ასეთი ტრადიცია ჰქონიათ: როდესაც რომელიმე დედა გალავნის გარეთ გადიოდა ყველას დაუწოქებდა და შენდობას ითხოვდა, რადგან არ იცოდა უკან ცოცხალი დაბრუნდებოდა თუ არა.

სამთავროს დედათა მონასტრის მონოზონები ოდითგანვე ტკბილი გალობით გამოირჩეოდნენ. მსოფიანი დედები ხშირად იგონებდნენ მონოზონ სიდონიას (ბაქრაძე), რომელსაც სიდონია „ტკბილადმგალობელს“ ეძახდნენ. ჩემ მახსოვრობას კი

იღუმენია დედა ანას უტკბილესი პირველი ხმა შემორჩა, რომლის მსგავსი მას შემდეგ აღარსად მსმენია. ასევე გამოირჩეოდა დიდსქემოსანი დედა სიდონია (დავითაშვილი) თავისი განუმეორებელი ბანით. იგი დედა ანას უერთგულესი მესენაკე იყო. დედა სიდონიას სიკვდილის წინ წმიდა

ერეკლე, რომელიც ბრძოლის წინ ჯარს ლოცავს“.

ძველი დედების შემდგომ, ქართული სამხმიანი გალობის ტრადიცია სამთავროში აღადგინეს და განაგრძეს ახალბედა დედებმა (რომლებიც ამჟამად ჭიათურის მღვიმევის მონასტერში მოღვაწეობენ).



სამთავრო.

სხედან: უწმიდესი და უნეტარესი ილია II, მარცხნივ – მამა გაბრიელი (ურგუბაძე), მარჯვნივ – უწმიდესის ნათლია, იღუმენია ზოილე (დეალიშვილი), უხუცესი მონოზონი ეფემია (ხიზანიშვილი), დგანან: იღუმენია ანა (აჭაიძე), დიდსქემოსანი ჯვროსანი სუსანა (უროტაძე), წმიდა ოლღას მონასტრის მონოზონი ლუბა, მერი შიოლაშვილი (შემდგომ მონოზონი ანა), მის უკან ვიქტორ შიოლაშვილი.

იოანე ოქროპირი გამოეცხადა. იგი ხშირად იმეორებდა: „წმიდა იოანე ოქროპირს ძალიან უყვარს ჩვენი პატრიარქიო...“ (ეს ხილვა პატრიარქის კურთხევით ჩაწერილია და ინახება მონასტრის არქივში.)

უწმიდესს ძალზე უყვარდა უხუცესი დედების გალობა, განსაკუთრებით ერთ-ერთი – „უფალო შეგვიწყალებ“ რომელსაც „ერეკლეს უფალოს“ უწოდებდა. სამთავროში მობრძანებისას, ჯერ კიდევ მეუფე ილია, დედებს თხოვნით მიმართავდა: „აბა, მიგალობეთ ერეკლეს უფალო“ და თან დაურთავდა: „ამ გალობის მოსმენისას თვალწინ წარმომიდგება მეფე

სიმდაბლითა და უდიდესი მოთმინებით იტანდა მძიმე სნეულებას მონოზონი ნინო (ქოქიაშვილი) და ყველაფრისთვის მადლობდა უფალს. იგი წითელ პარასკევს, ვნების შვიდეულში აღესრულა.

ძველ დედათაგან, დღემდე ლოცვითა და მღუმარებით იღწვის დედა ევპრაქსია (ხუბაშვილი), რომელიც ადრე მონასტრის შეუცვლელი მეუამნე იყო.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, მონასტერში ერთ-ერთი სტუმრობისას, მე და მორჩილ მარინეს (ნიაური) დაგვაგალა, ჩამოგვეწერა მონასტრის ძირითადი საჭიროებანი. მონასტრის უმთავრესი პრობლემა მაშინ ის იყო, რომ მწირველი მოძღვარი არ ჰყავდათ დადგინებული და დედები ღვთისმსახურებაზე სვეტიცხოველში დადიოდნენ. იქ მუდამ წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალის საფლავთან იდგნენ, რომელ ტრადიციასაც სამთავროს დედები დღემდე აგრძელებენ.

მორჩილი მარინე იმხანად მონასტრის სხვა საქმეებთან ერთად, საღვთისმეტყველო ლიტერატურასაც თარგმნიდა და იგი უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილებაში გადაიყვანეს სამუშაოდ. (მარინე ნიაურს 30 წლის წინ ვიცნობდი, ვმეგობრობდით და სამთავროს მონასტერს ხშირად ვსტუმრობდით).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ღვაწლით, მონასტერში განახლდა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები. დედათა სავანეს პირველ რიგში ისტორიული შენობები დაუბრუნდა, სადაც სამშო-

ბიარო, სემინარია და კომუნალური ნაგებობები იყო განთავსებული; გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები და გაიმართა სამონასტრო კომპლექსი. პატრიარქმა მონასტერში კვლავ აღორძინა სულიერი ცხოვრება და აღანთო ჩაუქრობელი ღოცვის ღამპარი. მონასტერს უპირველესად განუწესა სამი კანონი:

1. არ განიკითხო;
2. რაჟამს მოყვასი ბრალს გდებდეს, თავს ნუ იმართლებ, სთხოვე შენდობა და განშორდი;
3. ყოველ ადამიანში დაინახე მხოლოდ სიკეთე, მიმართე მას კეთილი სიტყვით. თუ ეს არ ძალგის – ნურაფერს ეტყვი.

უწმიდესის ეს სამი კანონი შემდგომ სხვა მონასტრებშიც გავრცელდა. ასევე, უწმიდესი მთავარ სათნოებად, ღოცვასთან ერთად, მიიხნევდა შრომას: „წარწყმდებით, მონასტერში თუ არაფერი გააკეთეთ. სხვისი ხელის შემყურე, ხელგაწვდილი კი არ უნდა იყოთ, უნდა გასცეთ და მოგეცეთ მათო“.

მონასტრის სულიერი მოძღვარი ხილულად და უხილავად მუდამ და ახლაც ბრძანდება უწმიდესი და უნეტარესი ილია II. და ყოველი აქ მოღვაწე მოძღვარი მისი კურთხევის აღმასრულებლად ითვლება, რომელთაგან მამა გაბრიელი (ურგებაძე) ღვაწლით აღმატებული და გამორჩეული იყო; და არა მარტო სამთავროში, არამედ ჩვენი დროის ღვთისმსახურთა შორის. არქიმანდრიტი გაბრიელი უწმიდესს შეეწეოდა მონასტრის აღორძინებაში. ბერი გაბრიელი დღე და ღამე თვალს ადევნებდა ძველი კოშკიდან მონასტრის ცხოვრებას და ჩვენი სიხარულითა და ჩვენი ტკივილით ცხოვრობდა. ხშირად მახსენდება მამა გაბრიელის სიტყვები: „შენ, პატრიარქის გარდა ვერავინ ვერ გაგიგებს, დაო და დედაო“.

სამთავროს უხუცესმა დედებმა მხნედ განვლეს ყოველი განსაცდელი და 90-იან წლებში სამთავროს წმიდა ნინოს მონასტერში მოსულ ახალ თაობას შემოუ-

ნახეს ძველი სამონასტრო ტრადიციები, საღვთისმსახურო წეს-განგება და ტიპიკონი.

ძველი დედების მაღლითა და ღვაწლით, სამთავროს მონასტერმა მრავალი იღუმენია და წინამძღვარი გამოზარდა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხ-



ეში მოღვაწეობენ.

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში ამჟამად 50-მდე მონაზონი და მორჩილია, რომლებიც ძალისაებრ იღვწიან საღვთისმსახურად ღვთისა.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II დიდი ძალისხმევით ცდილობს რათა აღორძინდეს ძველი სამონასტრო ტრადიციები, რომელიც ოდითგანვე წმიდა ნინოს მართლმორწმუნეობას ეფუძნებოდა და გვმოძღვრის: „ნუ გგონიათ, რომ წმიდა ნინომ IV საუკუნეში დაამთავრა თავისი მოღვაწეობა. იგი დღესაც აგრძელებს საქართველოს მოქცევასო...“

ARQIMANDRITI LAZARE (GAGNIZE)

SAKVIRAO QADAGEBA

ქრისტიანულ მოძღვრებაში ზნეობრივ ღვთისმეტყველებას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია, სადაც მოყვასისადმი ცოდვების შენდობას უდიდესი აღმზრდელობითი ფუნქცია აკისრია. უფალი ჩვენი იესო ქრისტე ადამიანებს სიკეთით ცხოვრებას შეაგონებს,



მოყვასისადმი სიყვარულით მსჭვალავს და მათ გულსა და გონებაში სიკეთეს უნერგავს. ადამიანებს სხვებისადმი სიყვარულით, აღავსებს; გულსა და გონებაში სხვათა მიმართ თანაგრძნობას და თანადგომას უნერგავს და ადამიანს წყალობითა და მოწყალების გრძნობით და კეთილშობილ საქმეთა აღსრულების სურვილით აღძრავს. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების მიჯნაზე დგება ჟამი, როცა ყოველი ჩვენგანი თავისი საქმიანობის გამო, ანგარიშით უნდა წარსდგეს უფლის წინაშე;

ყოველმა მიწადშობილმა უფალს ანგარიში უნდა ჩააბაროს იმისათვის, თუ როგორ მოიხმარა, როგორ ამრავლა, ან როგორ განაბნია მან ღვთისაგან ნაწყალობევი მადლი. ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ უფლისადმი ჩვენი დამოკიდებულების, უფლისადმი პატივისცემის და სიყვარულის საზომია, ირგვლივ მყოფი ადამიანებისადმი ჩვენი დამოკიდებულება. თუ ვჩაგრავთ, ვამცირებთ, აბუჩად ვივადებთ ჩვენს გვერდით მყოფ უმწეო, დაუცველ ადამიანს, ვძალავთ საარსებო საშუალებებს და თუ თავმდაბლობის წილ ვამპარტავნობთ, თუ სიყვარულის სანაცვლოდ უსიყვარულოდ ვეკიდებით მოყვასს, თუ ჩვენ ვცრუობთ დღენიადაგ და თანაგრძნობის მაგიერ ნიშნს ვუვებთ გაჭირვებასა და უბედურებაში ჩავარდნილ, ოდესღაც ნორმალურ პირობებში მაცხოვრებელ ადამიანს – რა პირით უნდა წარუდგეთ უფალ ღმერთს, რომელიც გვასწავლის და გვთხოვს, რომ კეთილს ვუყოფდეთ სხვა ადამიანებს; სიყვარულით, თანაგრძნობითა და თანაღმობით ვეკიდებოდეთ ყველა ადამიანს. სამწუხაროდ, ჩვენ ყველაფერს პირიქით ვაკეთებთ – ღვთის ნების საწინააღმდეგოდ ვიქცევით.

სახარების დღევანდელ საკვირაო საკითხავად, ქრისტეს წმინდა ეკლესიამ დაადგინა იგავი ადამიანთა საზოგადოების ყოფით თემაზე, იგავი უმადური, გულქვა და ბოროტი თანამდების ანუ მევალის შესახებ. იგავი მოგვითხრობს, რომ ერთმა კაცმა დიდი ვალი აიღო მეფისგან. დადგა ჟამი ანგარიშგებისა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ მოვალეს არაფერი ებადა და ვალის გადახდის არანაირი საშუალება არ ჰქონდა. მეფემ ბრძანა, რომ გაეყიდათ მთელი მისი სარჩო-საბადებელი და ამგვარად დაებრუნებინათ მისთვის ვალი. მოვალე ფეხებში ჩაუვარდა მეფეს და სთხოვა შეეწყალებინა. მეფეს შეებრადა იგი, ვალი აპატია და ყოველგვარი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება და განტყვევა ბრძანა. სასახლიდან გამოსულს შემოეყარა

კაცი, რომელსაც მისი ცოტაოდენი ფული ემართა. მევალე, სულ ცოტა ხნის წინ თავად ვალის გადახდისგან შეწყალებული, ყელში სწვდა მოვალეს და სასწრაფოდ ვალის გადახდა მოსთხოვა. მოვალე ფეხებში ჩაუვარდა ამ კაცს და შეევედრა, შეეწყალებინა იგი, ცოტა ხანს კიდევ ეცლია მისთვის და ვალს აუცილებლად გადაუხდიდა. მევალემ არ ისმინა თავისი მოვალის ხვეწნა-მუდარა და ციხეში გამოამწყვდია იგი. შეწუხდნენ ამ ამბის მსმენელები და მეფეს მოახსენეს რაც მოხდა. მეფემ მოიხმო უმადური მოვალე და განრისხებულმა უთხრა მას: „მონაო, ბოროტო, ყოველივე თანანადები შენი მოგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდი მე. არა ჯერიყო შენდაცა, რადთამცა შეიწყალე შენდაცა თანამონად იგი, ვითარცა მე შენ შეგიწყალე?“ (მთ. 18, 32-33). განრისხებულმა მეფემ თავისი ბოროტი მოვალე სატანჯველად გადასცა მტანჯველებს. უმადური და ბოროტი მოვალის ბედი და მარადიული სატანჯველი მოელის საყოველთაო განკითხვისას ყველა ჩვენგანს „უკეთუ არა მიუტეუნეთ კაცად-კაცადმან ძმასა თვისსა, ყოველითა გულითა თქუენითა ცთომანი მათნი“.

დღევანდელი წაკითხული სახარების მიხედვით, იმისათვის რომ უფალმა შეგვინდოს ცოდვები, უწინარეს ჩვენც უნდა მივუტევოთ ჩვენდამი შემცოდე მოყვასს.

შევხედოთ, ასეა ჩვენს საზოგადოებაში? ვასრულებთ უფლის ამ დარიგებას? განა ბევრი ჩვენგანი არ ვგავართ უმადურ მევალეებს? – უფლისგან გვინდა მივიღოთ ყოველგვარი წყალობა, მაგრამ გავცემთ მის სანაცვლოდ წყალობას? რამდენს უთქვამს ჩემთვის - ჩემმა მეზობელმა, ჩემმა ნათესავმა, ჩემმა ახლობელმა მაწყენინაო, ვიცი, რომ

უნდა შევუნდო მას, მაგრამ თავს ვერ ვჯობნი, არ შემიძლია, ვერ შევუნდობო. ხომ შეიძლება ამ დროს ვილოცოთ, შევწევნა ვთხოვოთ მისთვის უფალს; შემდეგ კი შევხვდეთ ან დავურეკოთ ჩვენი გულის მტკენელს, დაუყვავოთ მას, მოვეფეროთ და ვთხოვოთ, რომ მივუტევოთ ერთმანეთს და მომავალში მოვერიდოთ ერთმანეთის გულის ტკენას. მჯერა, რომ ძნელია სიჯიუტის დაძლევა, ძნელია თავის დამდაბლება, ფარული ამპატრავენების დამსხვრევა, მაგრამ თუ ჩვენ ამას მოვისურვებთ, ღვთისაგან ამისათვის შევწევნა აუცილებლად გვექნება.

უნდა ვიცოდეთ და შეილებსაც ვასწავლოთ, რომ უკეთუ ჩვენ არ შევუნდობთ მოყვასს, ჩვენდამი ჩადენილ ცოდვას ან წყენას და იგი ჩვენგან ცოდვამიუტევებელი გარდაიცვლება, მას ეს ცოდვა თან გაჰყვება საიქიოში. უფალი მას დასჯის ჩვენგან მიუტევებელი ცოდვის გამო, მაგრამ ვერც ჩვენ ავცდებით სასჯელს – ცოდვად გაგვყვება მოყვასისათვის მიუტევებელი ცოდვა და უკანასკნელ ჟამს გაგვახსენებენ ჩვენს ამ მძიმე დანაშაულს. ასეთი მძიმე შედეგი მოჰყვება ზემოთნათქვამის გაუთვალისწინებლობას ორივე მხარესათვის. ვინც ცათა სასუფეველში ცხონებას ეძიებს, შეისმენს დღევანდელი სახარების იგავში მოცემული სწავლების შეგონებას, ცოდვათა მიტევების შესახებ. ვინც არ შეისმენს, სულის წარწყმენდის წინაშე აყენებს თავის თავს. უფალი იესო ქრისტე გექმნეთ შემწედ, აღგამადლოთ თქვენს ცოდვებზე და მოგმადლოთ უნარი, მოყვასისადმი ცოდვათა მიტევებისა.



DEKANOZI DAVITI (RAMBASIZE)

RA MNISVNELOBA AQVS SANT LIS XMAREBAS

წმინდა სანთლის შეწირვა ღვთის მსხვერპლად ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში იყო მიღებული, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ კი მეტად გავრცელდა.

წმინდა სანთლის ხმარება ეკლესიებში სხვადასხვა მღვდელმოქმედების აღსრულებისას, როგორც ჩანს, პირველი საუკუნეებიდან ყოფილა შემოდებული; ხოლო მესამე და მეოთხე საუკუნეებში წმინდა სანთლის ეკლესიებში ხმარება დადასტურებულია. ყოვლად შეუძლებელია, რომ სანთლის ხმარება მოციქულების დროიდან არ ყოფილიყო დადგენილი. მოციქულების დროსაც ეკლესიის ნივთთა შორის ირიცხებოდა წმინდა თაფლის სანთელი და ზეთი. ძველ დროშივე ვპოულობთ და ვკითხულობთ კანონებს იმ პირთა დასასჯელად, რომლებიც ზეთსა და სანთელს ეკლესიიდან მოიპარავდნენ. ამა ნივთთა ქურდნი ისჯებოდნენ ეკლესიიდან გარიცხვით.

კართაგენის ეპისკოპოსი მენსური რომში წაიყვანეს საწამებლად, მან, სხვადასხვა საეკლესიო ნივთთა შორის, ჩააბარა ხელისუფალთ ორი სასანთლე. ეკლესიის ისტორიის ამ პერიოდიდან უნდა დავასკვნათ, რომ თაფლის წმინდა სანთლის ხმარება ყოფილა მესამე საუკუნეში. მეოთხე საუკუნეში კი წმიდა სანთლის ხმარებას, აშკარად ამტკიცებს ნეტარი იერონიმე, რომელიც ამბობს, რომ – იმ დროს იყო კეთილი ჩვეულება, წმინდა სანთლის ხმარებისა, ღვთის ვედრებაზე.

გრიგორი ღვთისმეტყველი მოგვითხრობს, ნათლისღების დროს სანთლის ხმარების მნიშვნელობას. იმპერატორ იუსტინიანე-

საგან გამოცემული კანონით, არავის არ ეძლეოდა ნება, მონასტრის, ეკლესიის ანუ სამლოცველო სახლის აგებისა; ვიდრემდის აღმშენებელი არ დანიშნავდა მამულს, რომლის შემოსავლიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ზეთის, სანთლის და სხვა საჭირო საეკლესიო ნივთების მუდმივად ყიდვა ღვთისმსახურების შესრულებისათვის და სხვა...

მეექვსე საუკუნეში ვხედავთ სამოქალაქო მთავრობის განკარგულებათა, რომლებიც იფარავენ წმინდა სანთლის წარმოების საქმეს ეკლესიებში. მეშვიდე მსოფლიო კრება წინადადებას აძლევს ყველა მორწმუნეს, რომ მათ გამოხატონ პატივისცემა და კრძალვა ცხოველსმყოფელისა ჯვარისა და წმინდათა ხატთა მთხვევითა, თაყვანისცემითა, საკმევლით და სანთლის დანთებითა.

სანთლის დანიშნულება ყოველთვის ერთი და იგივე იყო და არის ქრისტიანობაში. ეპისკოპოსი სიმეონ სოლუნელი თაფლის სანთლის მნიშვნელობას ასე ხსნის: „თაფლის სანთელი, ამბობს იგი, როგორც ყველაზე უწმინდესი ნივთი, ჩვენი სულის სიწმინდეს და წრფელს გულს ნიშნავს, რომლითაც ჩვენ შევსწირავთ ღმერთს ამ

შესაწირავს. თაფლის სანთელი, როგორც რბილი ნივთი, რომელზედაც ადვილად დაიბეჭდება სხვადასხვა საგანი, სახე – ნიშნავს ბეჭედს ანუ ჯვრის გამოხატულებას, რომელიც მოგვეცემა ნათლისღების და მირონცხების დროს. თაფლის სანთელი ნიშნავს მას, რომ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები. **თაფლის სანთელი, შეკრებილი**



სხვადასხვა კეთილსუნნელოვან ყვავილთაგან, სულიწმიდის მადლს ნიშნავს. როდესაც კაცი ანთებულ სანთელს მიაერთმევს მაცხოვრის ხატს, ამით იგი აღიარებს, რომ მისი გულიც და სულიც მსგავსადვე არის ანთებული ღვთის სიყვარულითა და სარწმუნოებით.

ზოგი ფიქრობს, რომ წმინდა სანთელს ეკლესიაში ხმარობენ, ვითომც, მარტო სინათლისათვის, ვინაიდან ღოცვა და ღვთისმსახურება სრულდება ღამით; მაგრამ ეს აზრი მართალი არ არის. სანთელს რომ ეკლესიაში განათების მეტი დანიშნულება არ ჰქონდეს, როდიდა იქნებოდა ღღისით მისი სახმარება საჭირო. სანთლით გამოიხატება სხვადასხვა ჩვენი სულიერი მდგომარეობა. **სანთელი არის მსხვერპლი, რომელსაც ჩვენ შევსწირავთ ღმერთს. მაშასადამე, ამ მსხვერპლის მასალა უნდა იყოს წმინდა, და მასში გარეული არ უნდა იყოს იმისთანა ნივთი, რომელიც მსხვერპლად არ შეიწირება.**

ძველ აღთქმაში ყოველი მორწმუნე პირი ებრაელთაგანი ვალდებული იყო, რომ ყოველი სამსხვერპლო და შესაწირავი ნივთი, მაგალითებრ: ზეთი, უნდა ყოფილიყო წმინდა გამონახადი ზეთისხილისაგან; საკმეველი უნდა ყოფილიყო კეთილსუნნელოვანი; შესაწირავი კრავი უნდა ყოფილიყო უმანკო და უნაკლო. თუ ძველ აღთქმაში ამისთანა ყურადღება ექცეოდა სამსხვერპლო შესაწირავ მსხვერპლს, რასაკვირველია, ეხლაც ისეთივე ყურადღება უნდა ექცეოდეს სანთელსაც, როგორც სამსხვერპლო საგანს; და წმინდა სანთელში შერევა სხვადასხვა ნივთთა იქნება სიყალბე, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ ვარგა. ამისთანა ყალბი სანთელი სრულებით არ იქნება გამომხატველი იმ დანიშნულებათა და მიზანთა, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვთქვით.

მკითხველი ალბათ მიხვდება ამის შემდეგ, თუ რა სისაძაგლეს ჩადის კაცი, როდესაც ყალბ და უწმინდურ სანთელს ყიდულობს და მიაქვს ეკლესიაში შესაწირავად, ანუ შინ, ოჯახში იყენებს რომელიმე მღვდელმოქმედების აღსრულების

დროს. ყალბი და უწმინდური სანთლის მყიდველი ღმერთსაც ატყუებს, თავის თავსაც და სხვასაც. ყალბ სანთელს ყიდიან და ყიდულობენ იმიტომ, რომ იგი იაფად იყიდება. მაგრამ ვინ გატანს ძალას, რომ მაინც და მაინც სანთელი იყიდო, თუ შენი სურვილი არ არის?! მაგრამ არა – შენ გასურს სხვას წაბაძო და ეკლესიაში მიიტანო შესაწირავი; ხოლო ამისათვის, ეკლესიაში კი არ ყიდულობ წმინდა სანთელს, არამედ სადღაცა: დუქნებში, ქუჩებში... მაღულად ყიდულობ ყალბ სანთელს, რომელიც ნამდვილი ცვილისაგან კი არ არის მომზადებული, არამედ სხვადასხვა უწმინდური ნივთებისაგან. და შენ გგონია, რომ ამით შენს ეკლესიას შესაწირავი მიართვი. ამისთანა ყალბი შეწირულებით, მადლის მაგიერ, შემწირველი ცოდვას სჩადის, რომლისათვის პასუხი უნდა აგოს ღვთისა და ხალხის წინაშე. ღვთის წინაშე ცოდავს ყალბი სანთლის შემწირველი მით, რომ თავის ცუდ განზრახვას ამტკიცებს. სამწყსოს წინაშე პასუხისმგებელია ყალბი სანთლის გამყიდველი მით, რომ ყალბი სანთლის ანთებით, ეკლესიაში კვამლი დგება, რომელიც აფუჭებს მხატვრობას და ეკლესიის ნივთებს. რომ კარგად დააკვირდეს კაცი სანთლის ყიდვა-შეწირვის საქმეს, მაშინ თვითონ მიხვდება, თუ როგორ საძაგლობას სჩადის, როდესაც ეკლესიაში სუფთა სანთელს არ ყიდულობს, ყველანი ადვილად მიხვდებიან, რომ ყალბი სანთლის მყიდველნი და გამყიდველნი ღმერთსაც ატყუებენ და თავის თავსაც. ამისათვის არის ფიცხელი სასჯელი, გარდაწყვეტილი მართებლობისაგან. ვინც მაღულად ყალბ სანთელს ყიდის, ან წმინდა სანთლით ვაჭრობას დაიწყებს, ვისაც უფლება არა აქვს, სასჯელი ამისთანა პირთათვის 1890 წელს აქეთ უმეტესი არის და ყველა მოვაჭრეებმა უნდა იცოდნენ და გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ ეკლესიას ზარალი არ მისცენ და მდაბიო ხალხი არ მოატყუონ.

გაზეთი „მწყემსი“ №18
1896 წლის 30 სექტემბერი

IAKOB GOGEBASVILI (1840-1912)

BURJI EROVNEBISA

(SISRULE QARTULI ENISA. MISI DAUFASEBLOBA)



... ვისაც კი მეტნაკლებობით შესწავლილი აქვს, თუ რაში მდგომარეობს სისრულე ენისა, მისი სიმდიდრე, აზრსა და გრძნობაზედ ზედ გამოჭრილობა და კაფიობა, არ შეიძლება, არ დაგვეთანხმოს, რომ ქართული ენა ეკუთვნის მაღალ აგებულობის ენათა დასსა. ჩვენმა ენამ გაფურჩქნა თავისი ფორმები და დაამყარა თავის ორგანიულს ნაწილებს შორის სრული ჰარმონია ძველადგანვე, მეორემეტე საუკუნეში. ჰკითხეთ ლინგვისტებს, ენის მეტყველთა, რაში მდგომარეობს ღირსება ენისა, და ისინი დაგისახელებენ: სიმარტივეს ბრუნვებისას, გრამატიკულის სქესების არ ქონვას, თანდებულთა სიტყვის ბოლოში მოქცევასა, ხმოვანს დაბოლოებას სიტყვებისას, ხმა ასამაღლებელის დამორჩილებას განსაზ-

ღვრულს კანონზედ, მრავალფეროვნებას და მოქნილებას ზმნის ფორმებისას, სიმდიდრეს სინონიმებისას, ლექსიკონისას. რომელმა განვითარებულმა ქართველმა არ იცის, რომ ყველა ეს ღირსება სრული კუთვნილებაა ქართული ენისა, რომელიც ამ ღირსებათა წყალობით, ყველა ცოტაოდნად განსხვავებულს შემეცნებას, მდგომარეობას, მოქმედებას და ვითარებას განახორციელებს, განსაკუთრებით, ზედგამოჭრილი, ფორმითა და საადვილო გამოხატულებითა!

დიაღ, ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალმხროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა; სადაც ერთს პატარა მანძილზე, პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან; სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდგან ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლელვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულს მცენარეულობას; და სადაც, რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება: სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმგვარს ღრმას და დაუსრულებელს დრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის, ერთი რუსი მწერლისა არ იყოს. ჰკითხეთ ჩვენს იბბლიან მეზობლებსა: რა გშურთ ქართველებისაო, და ისინი თქვენ დაგისახელებენ: ჯერ გაფურჩქნილს, განვითარებულს ქართულ ენასა და მერე გაერთებულს, შეკუმშულს ტერიტორიასა, მიწა-წყალსა.


დიაღ, ლინგვისტი, რომელიც ზედმი-

წევნით შეისწავლიდა ქართულს ენას, იტყოდა თითქმის იმასვე, რაც სთქვა გამოჩენილმა სწავლულმა, უსლარმა, ქართულს ანბანზედ, რომელიც მან თითქმის უსრულეს ანბანად, აღიარა ყველა ანბანთა შორის.

მაგრამ ვაფასებთ ჩვენ ამ დაუფასებელს საუნჯესა? გვესმის ჩვენ მისი უმაღლესი ღირსება და მნიშვნელობა? **ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერს ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ჰხმარობს და ჟანგს აჭმევინებს. ამიტომ, ობიექტიურად, თავისთავად მდიდარი და განვითარებული ქართული ენა, სუბიექტურად, ჩვენს პირში, არის დატაკი და დღენაკლულს არსებას მოგაგონებთ.**

კიდევ ისე სამწუხარო არ იქნებოდა ქართული ენის აბუჩად აგდება, რომ ამ მოვლენას ვხედავდეთ მხოლოდ სასწავლებლებში; მაგრამ სავაგლახო და სავალალო ის გახლავთ, რომ იქაც კი, სადაც დედაენა უნდა შეუცილებლად უფლობდეს და სუფევდეს, მას ეპყრობიან, აქა-იქა მაინც, სწორედ ისე, როგორც ავგული დედინაცვალი ექცევა ათვალწუნებულს გერსა. ეს მომაკვდინებელი სენი ცოტ-ცოტათი ეპარება ქართულს სახლობრივ სფეროსაც და ისიც რომელსა? არა მარტო გადაბირებულს მოხელეთა ოჯახობასა და ზოგიერთა გაფუქსავატებულს არისტოკრატებსა, არამედ – თვით ჩვენს განათლებულს დასსაც კი გადასდებია. არა ერთს განათლებულს ქართველს სახლობას შეხვდები, სადაც მოზარდი თაობა ლაპარაკობს და ტიტინებს რომელსამე უცხო ენაზედ და ქართულისა კი ჭაჭანებაც არ ისმის. უფრო კიდევ სამწუხარო ის არის, რომ ამგვარ სახლობათა რიცხვში ჰხედავთ მესამოცე და მეოთხმოცე წლების ზოგიერთა პატრიოტებსაც (საუბარია ე. წ. „დასელებზე“ – რედ.), რომელნიც ლიტერატურაში ცხარ-ცხარე სიტყვებს ხარჯავდნენ მამულის შვილობაზედ და საქმე კი იმით გაათავეს, რომ თვითონაც უღალატეს ეროვნებას და თავიანთ სახლებიდგანაც გამოაძევეს ქართული ენა. ამ ვაჟბატონებს რომ ჰკითხოთ, რად დაგებათ პირი უკუღმაო, ბოდიშის მოსახდელად

ზოგნი დაგისახელებენ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ბედისწერამ უცხოელს ქალებს გადაგვიკიდაო; მაგრამ განა ეს შესაწყენარისი საბუთია? განა კაცმა რომ უცხო ტომის ქალი ცოლად შეირთოს, უნდა მოაშოროს შვილები დედაენას, სამშობლოს და გადაბირების გზაზედ დააყენოს?... ამაზედ კიდევ უფრო უარესი ის გახლავთ, რომ ზოგჯერ დედაც ქართველია და მამაცა, არც ერთი არ არის მოკლებული



განათლებასა, არცა გრძნობასა და არც აზროვნებასა, მაგრამ სახლობაში კი ბრმა მიმდევარნი არიან უგუნურის მოღისა და მასში ამყარებენ, ეროვნული ატმოსფეროს მაგიერ, გადამბირებულს მიმართულებასა.

ეროვნულს სკოლას შეეძლო მეტნაკლებობით შეესუსტებინა მავნებლობა ამგვარის ოჯახის უკუღმართობისა; მაგრამ სად არის ამგვარი სკოლა? ჩვენს სკოლებში ყველაფერს აქვს ადგილი, გარდა ეროვნებისა.

ჩვენ არ გამოვეკიდებოდით იმ აზრის განმარტებას, რომ ის მშობელნი, რომელნიც თავისს შვილებსა ზრდიან გარემო დედაენის გავლენისა, სწვევტენ კავშირსა მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავენ თავისს ქვეყანასა მამული შვილებს, ამცირებენ იმ რაზმს ქართველებისას, რომელნიც

ემსახურებიან სამშობლოს წარმატებას, მის ბედნიერებას; რომ ეს მშობელნი, ერთი სიტყვით, დამნაშავენი არიან სამშობლო ქვეყნის წინაშე. არ გამოვეკიდებით იმის გამო, რომ მაღალი მცნება კაცობრიობის საუკეთესო ნაწილისა: „გიყვარდეს ერი შენი უმეტეს თავისა შენისა“, ისეთი მაღალი სწავლაა, რომელსაც ყველას გონება ვერ შესწავდება და რომლითაც ყველა გული ვერ იხელმძღვანელებს. ჩვენ სხვა, ყველასათვის გასაგებ მხრიდგან მოვუფლით საგანსა და იმედი გვაქვს, დღესათვის ცხადად დავამტკიცებთ, რომ ნამდვილის კაცურის გონებისა, გრძნობისა და ხასიათის აღზრდა ბავშვებში, მათი პირადი ბედნიერება, რომელიც ყველა მშობელსა სწყურის, შეუძლებელია მაშინ, როდესაც მათს აღზრდაში მეტნაკლებობით უარყოფილია დედაენა – ეს ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა, – რომ ისინი, ვინც ამ გამაცხოველებელს. ძალას მხარს უქცევენ, თავისავე ხელით უთხრიან სამარესა თავისი შვილების ჯეროვანს განვითარებას, ნათელს მომავალს, მათს სანატრელს ბედსა და ჰბედებიან ნამდვილნი დამნაშავენი მათ წინაშე...

დედაენის უარყოფას სწავლა-აღზრდაში, მოსდევს დიდი დაქვეითება ადამიანისა, ყოველ მხრივ.

ღრმა კავშირი დედაენისა სულთან და ხორციან, მის წარსულ ცხოვრებასთან.

დედაენის უარყოფას სწავლა-აღზრდაში, მოსდევს დიდი დაქვეითება ადამიანისა, ყოველ მხრივ. დედაენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული; იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ. ყოველ ადამიანს დაბადებიდგან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლისა, სწორედ იმგვარად, როგორც ბუღბუღს ჰყვება და-

ბადებითგანვე ბუღბუღის გალობის ნიჭი, იადონს – იადონურის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედაენა ჰხატავს სინამდვილით და სისრულით.

ამასთან, დედაენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და აესებს მას სულიერის ღონით და მხნეობით. ამიტომ, როდესაც რომელიმე მშობელი თავ-

ისს შვილს დედაენას აშორებს და უცხოენას ასწავლის, რასა შვრება ის ამით? იგი ხელიდგან ართმევს თავის შვილს ერთადერთს ძლიერს ღონისძიებას გონების სწორე გახსნისათვის სიპატარავის დროსა, მის ბუნების შესაბამის იარაღსა, რომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილება, და ძალად აჩეჩებს ხელში იმისთანა შეუსაბამო იარაღს, რომლის მოხმარების შეთვისება ძლიერ ძნელია და რომელიც არასდროს არ გაუწევს ბუნებითის იარაღის სამსახურსა.

ამგვარი უკუღმართობა ჰბადებს უთანხმოებას, წინააღმდეგობას ბავშვის მეტყველებისა და მის სულის და ხორცის შუა. და, რომ ამ წინააღმდეგობას დამლუპველი გავლენა უნდა ჰქონდეს ბავშვზედ, ადვილი მისახვედრია. ბავშვი, დაბადებიდგანვე მოკლებული დედაენის გამაცხოველებელს გავლენას, ისე ძნელად ისწავლის ჯეროვან აზროვნობას და ისეთივე უხეირო ჭკუის პატრონი გამოვა, როგორც უხეირო მემუსიკედ შეიქმნება ადამიანი, რომელიც იყო მესკრიპკედ დაბადებული და მეფორტპიანედ ძალად გაზრდილი, ანუ უფრო უკეთ: ამგვარი ბავშვი ემგვანება საცოდავს მერცხალს, რომელსაც ჭიკჭიკს უკრძალავენ და შოშაის სტვენას ასწავლიან. ამ უკუღმართი გზით აღზრდილი ბავშვი ვერასდროს ვერ

ავა იმ გონების სიმალემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებითს ნიჭსა; ვერ მიეწევა, ვერ ეღირსება ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას, მეტ-ნაკლებობით გამოვა ნეკრე-ნეკერა, ქარაფშუტა პირი, უხასიათო ადამიანი და იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებს თავისს სიცოცხლეში, რის გაკეთების ნიჭიც მისთვის ბუნებას მიუცია. ასე აშკარად სჯის ბუნება ყველას, ვინც კი მას ჰღალატობს, არღვევს მის კანონსა და უკუღმართად იქცევა.



მთაწმიდა. იაკობ გოგებაშვილის საფლავი

ის მოვლენა, რომ ზოგი ადამიანი ზედმიწევნით სწავლობს უცხო ენებსა, სრულიად არ ეწინააღმდეგება დედაენის ორგანიულს შეხორცებასა მისს ბუნებასთანა. უხელო ადამიანები ხშირად ფეხითა სჭრიან და აკეთებენ თითქმის ყველა იმას, რის გაკეთებისათვისაც ღმერთს ჩვენთვის ხელი მოუნიჭებია; მაგრამ ნუთუ ამ ფაქტს შეუძლიან ვისიმე თვალში შეამციროს ხელების უბადლობა, შეუდარებლობა, სხვადასხვა საქმის გაკეთებისათვის?! ამავე აზრის დასასრულებლად მარჯვე მაგალითს წარმოადგენს ამერიკის ერთი შროშანი. ეს შროშანი საოცარი ოსტატობით ჰბაძავს ყველა ფრინველის გალობასა და ცხოველის ხმაურობასა, ბუღბუღის

გალობიდან დაწყებული – ძაღლის ყეფამდე. გარნა მხოლოდ თავისი ბუნებრივი სტვენა უხდება მას, მხოლოდ ამ სტვენით ჰხატავს მკაფიოდ და სრულად ნამდვილს მოძრაობას და გრძნობას სულისას; მართო ამ თავისი სტვენით ასიამოვნებს მსმენელსა, აწონებს თავსა და თავისს არსებობის თავისებურობას და სარგებლობას ამტკიცებს.

მეტადრე, ერთს ფრიად სიმპატიურს სფერაში აშკარავდება უძღურება ყველა უცხო ენისა. ეს გახლავთ ნაზის გრძნობის, ალერსის სფერა. ბავშვი, მოშორებული და მოკლებული დედაენას, ვერასდროს ვერ მიესაყვარლება თავისს მშობელთა და ნათესავთა სრულის გრძნობის გამომხატველი სიტყვებით; ვერასდროს ვერ იპოვნის იმისთანა ღრმად გულში მოსახვედრს გამოხატულებათა, როგორნიც არიან „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“, „შენ გეთაყვანე“, „თავ-შემოგველე“, „წამლად დაგედე“ და მრავალი სხვანი. ამასთანავე, უძღურებას ენისას იგივე ბავშვი გამოსცდის დიდობაშიაც თავისს გულის სატრფოს წინაშე, რომელსაც გულის ენის მაგივრად, თავისი მხურვალე გრძნობა და სიყვარული უნდა განუცხადოს მექანიკურად დასწავლილი, ცივი სიტყვებითა, მესხიერების ენითა და ამით შეასუსტოს, შელახოს, და შეურაცხჰყოს თავისი ძლიერი გრძნობა და თავისი წმინდა გულის ტრფიალი.

კიდევ უფრო უძღურია უცხო ენა აღზარდოს, გაფურჩქნოს და სრული ძლიერებით გამოსატოს ის მაღალი და ღრმა მოძრაობა სულისა, რომელსაც ჰქვიან სარწმუნოებრივი გრძნობა. სარწმუნოება, სასოება მთლად და სავსებით სუფევს ადამიანის გულში, და მხოლოდ გულში. ღმერთი არის მეუფე გულის, და მხოლოდ გულისა. ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც ადამიანი მიმართავს უფალსა, სავსებით გამოიხატება მხოლოდ დედაენით, იმიტომ რომ მხოლოდ დედაენა არის ენა გულისა, გრძნობისა. სხვა ენა აქ ყოველად უძღურია. მხოლოდ დედაენაზედ შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ...

ღიად, მხოლოდ დედაენა არის სულისა და გულისა, – ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მესხიერებისა.

SESXMA YOV LADWMIDISA RVTIVSAYVARELISA RVTISMSOBELISA MARIAMISA

... ღვთივსულიერნო შვილნო ეკკლესიისანო, ამადლდა რა უფალი ჩვენი და ღმერთი იესო ქრისტე, მოავლინა ღვთისმშობელმან მარიამ ანდრია მოციქული, განსანათლებელად ივერიელთა ერისა; და ამადლდა რა ქალწული მარიამ, მოავლინა სათნო თვისი მოციქული ქალწული ნინო, განმაბრწყინებელად სულისა ჩვენისა.

ვითარცა ღმერთმან, პირველ აბრაამის გამო, ისრაილ უწოდა ერსა თვისსა, ეგრეთვე ქალწულმან მარიამ, ანდრიას გამო, ქრისტიანე გვიწოდა სამწყსოსა თვისსა.

ვითარცა ღმერთმან მოსე გამოირჩია ისრაილთა წინამძღვრად, ეგრეთვე დედოფალმან მარიამ ქალწული ნინო გამოირჩია ახლისა ისრაილისა წინამძღვრად.

ვითარცა ღმერთმან მოსეს მისცა ათნი მცნებანი ღვთივწერილნი, ეგრეთვე ქალწულსა ნინოს მოეცნეს ათნი სიტყვანი საღმრთო წერილნი.

ვითარცა ღმერთმან მოსეს მისცა კვერთხი ჯვარის სახედ მომასწავებელად, ეგრეთვე ქალწულმან მისცა ნინოს ვენახი, ჯვარის სახედ შეკრული, ეშმაკთა განსადევნელად.

ვითარცა ღმერთმან მოსეს მიანიჭა სასწაულნი, კვერთხისა გველად შეცვალებათა, ეგრეთვე ღვთისა დედამან შესჭურა ნინო ხელმწიფებითა, დათრგუნვად გველთა და ღრიანკალთა.

ვითარცა მოსემ იხსნა ისრაილი ფარაოსაგან, ეგრეთვე ქალწულმან ნინო იხსნა ქართველნი არმაზ-ზადენისაგან და მათ შინა დამკვიდრებულისა ლეგეონ ბელზებულისაგან.

ვითარცა შემდგომად მოსესა იესო ქრისტემან გამოირჩივნა ათთორმეტნი მოციქულნი და მათ მიერ განანათლა ყოველი ქვეყანა, ეგრეთვე ღვთისმშობელმან მარიამ შემდგომად ნინოსა, გამოირჩივნა ათორმეტნი მამანი და მათ მიერ განაბრწყინვა ივერიის ქვეყანა.

ესრეთ ყოვლით კეთილობითა ყოვ-

ლადსახიერსა ძესა თვისსა ემსგავსა ყოვლადუბიწო ქალწული მარიამ. ამისთვის კშვენის ჩვენდა, საყვარელნო, რათა ყოვლადვე გვიყვარდეს ყოვლადსაყვარელი, ფრიად სასურველი და ღვთივსანატრელი ღვთისმშობელი მარიამ და მარადვე დაუცხრომელად სულით და გულით, მსგავსად სიყვარულისა და სიტკბოებისა მისისა, ვუგალობდეთ გიხაროდენსა



„ღვთისმშობლის მიერ წარვლენა
წმიდა მოციქულთასწორისა ნინოსი, საქადაგებლად“

და ვევედრებოდეთ ღვთივშეწყობილითა პარაკლისითა.

* * *

რამეთუ იყო ვინმე ბერი ღირსი და პატროსანი, რომელსა დიდის სურვილით უყვარდა ღვთისმშობელი ქალწული მარიამ და სიყვარულითა მისითა განეშორა სოფ-

ლისა ამბობს; მივიდა ბერი და დაემკვიდრა პირსა იორდანისასა მარტოებით და მარადის უღალადებდა დედოფალსა ჩვენსა მარიამს „გიხაროდენსა“ და ევედრებოდა პარაკლისითა და აღიდებდა მისგან შობილსა იესო ქრისტესა; ხოლო საზრდელად მისა იყო მწვანეფილთაგან ველისათა და ოდეს მოიწია ზამთარი და განხმა მწვანეფილი, სულმოკლე იქმნა ბერი იგი და იწყო ურვად, ვითარმედ რაფლა იყოს საზრდელი ჩემდა.

და აჰა მოვიდა მისა ანგელოზი უფლისა და ჰრქუა: ბერო, აღმოიღე ქვაჲ ერთი წყლისა მაგისგან და განსტეხე იგი; ხოლო მან შთაჰყო ხელი იორდანესა შინა და აღმოიღო მცირე ქვაჲ და განსტეხა იგი, და იხილა მას შინა ჭიაჲ და პირსა მისსა ეპყრა მდელი. მაშინ ჰრქვა მას ანგელოსმან: იხილე სახიერება ღვთისა, უკეთუ ქვასა შინა ცხოველი დაჰბადა და მასცა საზრდელი განუჩინა, ხოლო შენ, რომელი აღიდებ ღმერთსა და უგალობ დედასა მისსა, არა სათნო იყოსა გამოზრდაჲ შენი? ესე რა ესმა ანგელოსისაგან, გულსავე იქმნა ბერი და მადლობით აღიდებდა კაცთმოყვარებასა ღვთისასა და დაუცხრომელად უგალობდა ყოვლადსაგალობელსა ქალწულსა მარიამს.

აწ ჩვენცა საყვარელნო, ღვთივბრწყინვალითა ხმითა ვუგალობდეთ ღვთისმშობელსა დედოფალსა ჩვენსა მარიამს და ვიტყოდეთ:

გიხაროდენ, არსისა ღვთისა შემყვარებელი.

გიხაროდენ, ბუნებით ერთისა ღვთისა თაყვანისმცემელი.

გიხაროდენ, გვამით სამისა აღმსარებელი.

გიხაროდენ, დიდებისა მისისა შესაკუთრებულ.

გიხაროდენ, ელგებრ კამკამებითა განბრწყინებულ.

გიხაროდენ, ვარსკვლავებრ ჰაეროვან განათლებულ.

გიხაროდენ, ზეცისა უმაღლესო.

გიხაროდენ, ეთერისა უნათლესო.

გიხაროდენ, თვალთშეუდგამო მცხინვარებითა.

გიხაროდენ, იესოს მშობელი ქალწულებითა.

გიხაროდენ, კრავისა ღვთისა დედაო, ზესთა ბუნებისა სიწმიდითა.

გიხაროდენ, ღმობიერად სავედრებელი. გიხაროდენ, მომნიჭებელი წყალობისაო.

გიხაროდენ, ნათელი ყოვლადშვენიერო.

გიხაროდენ, უნდოჲსა განმდევნელი.

გიხაროდენ, ოსანნასა მღალადებელი.

გიხაროდენ, პირო დაუდუმებელი.

გიხაროდენ, ჟამყოველ საგალობელი.

გიხაროდენ, რომელსა გადიდებენ ანგელოსნი.

გიხაროდენ, საყვარელი სულითა.

გიხაროდენ, ტრედო უმანკოებითა.

გიხაროდენ, უზადო თვალითა.

გიხაროდენ, ფრთოვანო გონებითა.

გიხაროდენ, ქალწული სიწმიდითა.

გიხაროდენ, ღირსო დიდებითა.

გიხაროდენ, ყოველთა უმეტესო გვირგვინითა.

გიხაროდენ, შვენიერო სიკეთითა.

გიხაროდენ, ჩვენდა მოწყალეო სიტკბოებითა.

გიხაროდენ, ცათა უვრცელესო სახიერებითა.

გიხაროდენ, ძალთა უმაღლესო ხარისხითა.

გიხაროდენ, წმიდათა უწმიდესო პატივითა.

გიხაროდენ, ჭეშმარიტებით სადიდებელი.

გიხაროდენ, ქერუბიმთა უბრწყინვალესო.

გიხაროდენ, ხელაპყრობით საგალობელი.

გიხაროდენ, ჯეროვნად სავედრებელი.

გიხაროდენ, ხმითა სიღრმით გულისათ სახმობელი.

გიხაროდენ, ჰი, ყოვლადწმიდაო, ყოვლითურთ შეგვიწყალენ ჩვენ.

„სულისა დამატკბობელი მანანად ანუ შესხმანი ღვთივდიდებულთა წმიდათათვის“

ტფ. 1904 წ.



წმიდა ნინოს ღოცვა საქართველოსთვის

უფალო ღმერთო, მრავლითა ძალითა შენითა გეცრუნეს შენ მტერნი შენნი, იხილე უფალო, ნუ დასდუმნები და ქმნულსა ხელთა შენთასა ნუ უგულვებელს ჰყოფ, მოიხილე უფალო მაღლით შენით წმიდით, იხსენ მკლავითა შენითა ერი შენი, შეისმინე უფალო ღოცვისა ჩემისა და ვედრებისა ჩემისა ყურად ილე და შთახადე კერპნი ესე რისხვითა შენითა ქუესკნელთა ქუეშე ქუეყანისათა, რამეთუ არა არს მათ შორის ჭეშმარიტება, რამეთუ განხრწნეს ერი შენი ავაზაკთა ბოროტთა უხილაეთა, გამოსტაცენ, ესენი ხელთაგან მგელთა განმრყუნელთასა, რამეთუ შენი არს სუფევა და დიდება უკუნითი უკუნისამდე ამინ.

„საკითხავი სუეტისა ცხოველისა“

მონოზენის ალექსა

კ ი თ ხ ე ა - მ ი ტ ე ბ ა



უკეთო მონოზენაზ წინაშე ღუთისა, ტყითხე იმშუდით
და მოძიგე ზუეს ყოვლითა კრძალულებითა:

კითხვა: რაისათვის მონოზენაზ, ძმათ, შეკრდომით, წმინდასა
ამსა მსხვერპლის შეწირვასა და წმინდათა ამათ კრებულთა?

მიგება: მხებავს განმარტებათ ხოთოსხაგან, ბაჭათხანთ ძამათ.

კითხვა: ხებათა შეხათა ღმრს აქმხებთა ანგელთხებრთხუა ამხ ხახეხა
და წესხა გუხდათ მონოზენათხა?

მიგება: ძე, ღუთისხა ძალთა, ბაჭათხანთ ძამათ.

წინამძღუანძინ: ხალთ ზაუამს აღმარტკუეს კეთლი და ხანატრული ეხე
საქმეა, უკეთო გხებავს განმარტებათ კეთლისხა საქმისხა,
შინძითა, ზურღესებთა და ტყუილთა განმარტებმს.

კითხვა: ხებთით განებთათა შეხათა მონოზენა წინაშე უფლისა?

მიგება: ძე, ღუთისხა ძალთა, ბაჭათხანთ ძამათ.

კითხვა: დაიტავა ქაღალულებასა შეხსა ყოვლითა განებთათა და ხახოებთათა?

მიგება: ძე, ღუთისხა ძალთა, ბაჭათხანთ ძამათ.

კითხვა: ცხიზრებათა შინა შეხსა ვადრე სიკცადმდე ჰყოთა
მონოზენებათა უფრთხისხასა, და ყოველთა ქრისტეს მიერ ძამათხა?

მიგება: ძე, ღუთისხა ძალთა, ბაჭათხანთ ძამათ.

კითხვა: დაიძებნა ყოველსა ძუარისხილვასა, იწრთებათა, ბოროტთა
მიერ აღძრულსა ძუაკუარებათა, ხასუფეკელისათვის ცათასა?

მიგება: ძე, ღუთისხა ძალთა, ბაჭათხანთ ძამათ.